1. *В.С.Королюк, Ф.А.Турбин.* Полумарковские процессы и их приложения. Киев, 1976.
2. *В.С.Королюк, Ф.А.Турбин.* Математические основы фазового укрупнения сложных систем. Киев, 1978.
3. *И.С.Микадзе.* АиТ, 12, 1982, 104-115.

ლ. კუხალიშვილი

მასალები მდ. კოდორის აუზის ზემო წელის ლურჯმწვანე წყალმცენარეთა (Cyanophyta) შესწავლისათვის

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა განახლებული შვილიშა 20.05.1994)

მდ. კოდორი სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე. იგი სახელწოდებას (კოდორი) იძენს სოფ. გენწვიშთან მდინარეების გვანდრასა და საყენის შეერთების შემდეგ [1].

მდ. კოდორის აუზის წყალმცენარეები შეუსწავლელი იყო. ამიტომ 1988 და 1990 წწ. ზაფხულში აღნიშნული აუზის ზემო წელის წყალსატევებიდან შევარგოვით ალგოლოგიური ნიმუშები, რომელთა დამუშავებისას გამოვლინდა 37 ლურჯმწვანე წყალმცენარე. სამი მათგანი, გვარებიდან Rivularia, Plectonema და Hapalosiphon, პირველად აღინიშნა საქართველოს ალგოფლორისათვის. მასალები მათ შესახებ ცალკე გამოქვეყნდება.

აღმოჩენილი ლურჯმწვანენი მიეკუთვნებიან წყალმცენარეთა ხუთ რიგს. ორი – Chroococcales და Entophysalidales არის Chroococcophyceae-ს კლასიდან. პირველი (Chroococcales) მოიცავს 9 სახეობას, რომელთაგან შედარებით ხშირად და საკმაო რაოდენობით გვხვდებოდნენ *Gloeocapsa montana*, *Gl. turgida* და *Microcystis grevillei*. სხვანი აღინიშნენ ერთი ადგილსამყოფლიდან მცირე რაოდენობით, ზოგიერთი მათგანი, კერძოდ *Gloeocapsa punctata*, *Microcystis muscicola* და *M. parietina* დიდი რაოდენობით იყვნენ განვითარებულნი.

მეორე რიგი (Entophysalidales) წარმოდგენილია სახეობით *Chlorogloea microcystoides*, რომელიც მართალია ერთხელ შეგვხვდა, მაგრამ უამრავი რაოდენობით.

დანარჩენი რიგები (Stigonematales, Nostocales, Oscillatoriales) არიან Hormoniophyceae-ს კლასიდან. აქ ყველაზე მრავალრიცხოვანია რიგი Oscillatoriales. იგი 15 სახეობას აერთიანებს. მათგან ათი არის Oscillatoriaceae-ს ოჯახიდან, სამი – ოჯახიდან Schizothrichaceae და ორი ოჯახ Plectonemataceae-ს განეკუთვნება. მასობრივი განვითარებითა და შედარებით ფართო გავრცელებით აღინიშნა მხოლოდ *Schizothrix lenormandiana*. ასევე ფართოდ იყო გავრცელებული *Oscillatoria princeps*, მაგრამ იგი ერთი ადგილსამყოფლის გარდა ძალიან მცირე რაოდენობით გვხვდებოდა. ამ რიგის სხვა წარმომადგენლებიდან დიდი უმრავლესობა აღინიშნა ერთი, ძალიან იშვიათად ორი ადგილსამყოფლიდან. მათი ნაწილი, სახელდობრ *Phormidium favosum*, *Ph. autumnale*, *Oscillatoria tenuis*, *Microcoleus vaginatus* მასობრივად ვითარდებოდა, დანარჩენი ძალიან სუსტად.

ნაკლებ მრავალფეროვანია რიგი Nostocales. იგი მოიცავს ხუთ ოჯახს, რვა სახეობითა და ორი ფორმით. სამ-სამ წარმომადგენელს აერთიანებენ ოჯახები *Anabaenaceae* და *Nostocaceae*, ხოლო ოჯახები *Rivulariaceae*, *Nodulariaceae*, *Scytonemataceae* წარმოგვიდგებიან შესაბამისად ორი და თითო-თითო სახეობით.

მათი გავრცელება მოცემულ რაიონში ფრიად შეზღუდულია. ისინი უმთავრესად ერთი ან ორი ადგილსამყოფლიდან აღინიშნენ, ამასთან უაღრესად მცირე რაოდენობით, გამონაკლისს შეადგენენ *Nostoc linckia*, *Scytonema ocellatum* და *Microchaete tenera*, რომლებიც მასობრივად იყვნენ განვითარებულნი.

რიგი *Stigonematales* საკვლევ ტერიტორიაზე ოჯახ *Stigonemataceae*-ში შემავალი ერთი სახეობითა და ერთი ფორმით აღინიშნა. ისინი სულ რამდენიმეჯერ შეგვხვდნენ, მაგრამ ძალიან დიდი რაოდენობით.

მოცემულ რაიონში ლურჯმწვანე წყალმცენარეების სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევიან სოფ. ჩხალთა, ნახარისა და ქლუხორის უღელტეხილების მიდამოები, მდ. ხეწკვერას ხეობა; აქ მათ ვნახულობდით ნესტიან კლდეებსა და ნიადაგზე, ქვებსა და რკინის საგნებზე, რომლებიც გამოუდმებით სველდებიან წყლით (ჩანჩქერი, მდინარე, ნაკადული), აგრეთვე ქვებზე ძალიან თხელ დამგარ წყალში, რომლის ტემპერატურა არ აღემატებოდა 8-9°C.

ჩვენს მიერ გამოვლენილი ლურჯმწვანენი ქვემოთ მოცემულ სიაში ანბანის მიხედვით არიან დალაგებულნი. თითოეული მათგანისათვის ვუთითებთ ეკოლოგიასა და ადგილსამყოფელს:

Anabaena oscillarioides Bory f. *tenuis* (Lemm.) Elenk.-ნესტიან ნიადაგზე შერეულ ფოთლოვან ტყეში მდ. ხეწკვერას ხეობაში, 1200 მ.ზღ.დ.

A. sp.-ნესტიან ნიადაგზე, გუბეებში; იქვე, სოფ.პტიში და ხეწკვერას ტბასთან (1400 მ.ზღ.დ.); ქვებზე, მდ. პტიშის ფშაში, ხიდთან; ნესტიან კლდეებზე, სოფ. ჩხალთაში.

A. variabilis Kütz.-გუბეებში სოფ. ჩხალთაში.

Calothrix sp.-ქვებსა და რკინის მიღზე (ანახევიკი), რომლებიც სველდებიან წყაროს წყლით, „სამხრეთის თავშესაფრის“ მიდამოებში, 1500 მ.ზღ.დ.

Chlorogloea microcystoides Geitl.-ქვებზე მდ. ხეწკვერას უსახელო მარცხენა შენაკადში, ნაპირთან.

Cloeoecapsa alpina Näg. emend. Brand.-ნესტიან კლდეებზე სოფ. ჩხალთაში.

G. montana Kütz. ampl. Hollerb.-მდ. პტიშის ფშაში, ხიდთან, სოფ. პტიში; კლდეებზე, რომლებიც სველდებიან ჩანჩქერის შხეფებით, „სამხრეთის თავშესაფრის“ მიდამოებში, 1550 მ.ზღ.დ.; ნესტიან ქვებზე, ხავსებს შორის და მათ გამონაწურაში, გუბეებში, ნახარის მდელოზე, ნახარის უღელტეხილთან, 2000 მ.ზღ.დ.

G. punctata Näg. ampl. Hollerb.-ნესტიან კლდეებზე ქლუხორის უღელტეხილთან, 2200 მ.ზღ.დ.

G. turgida (Kütz.) Hollerb. emend.-ნესტიან კლდეებზე სოფ. ჩხალთაში; გუბეებში, ნესტიან ნიადაგსა და ქვებზე, რომლებიც სველდებიან წყლით, სოფ. პტიში და ნახარის უღელტეხილთან, 2000 მ.ზღ.დ.

Microchaete tenera Thur.-ნესტიან ნიადაგზე ხავსებს შორის ნახარის უღელტეხილთან, 2000 მ.ზღ.დ.

Microcoleus vaginatus (Vauch.) Com.-ქვებზე, პატარა უსახელო მდინარეში, რომელიც ჩაედინება ხეწკვერას ტბაში, შესართავთან, 1400 მ.ზღ.დ.

Microcystis grevillei (Hass.) Elenk. emend.-ნესტიან კლდეებზე; სოფ. ჩხალთაში და ქლუხორის უღელტეხილთან, 2200 მ.ზღ.დ.; ნესტიან ნიადაგზე, ხავსებს შორის, ნახარის უღელტეხილთან, 2000 მ.ზღ.დ.



M. hansgirgiana (Hansg.) Elenk. - კლდეზე, რომელიც სველდება ჩანჩქერის წყაროსთან მდ. ყლიჩის (მდ. აქაფარა) მარცხენა ნაპირზე, „სამხრეთის თავშესაფრის“ მიდამოებში, 1550 მ.ზ.დ.

M. muscicola (Menegh.) Elenk. - გუბეებში და ქვებზე, რომლებიც სველდებიან მდინარის წყლით ნახარის უღელტეხილთან, 2100 მ.ზ.დ.

M. parietina (Näg.) Elenk. - იქვე.

M. pulverea (Wood) Forti emend. Elenk. - ქვებზე პატარა უსახელო მდინარეში, რომელიც ჩაედინება ხეწკვერას ტბაში, შესართავთან, 1400 მ.ზ.დ.

Nostoc linckia (Roth.) Born. et Flah. f. *linckia*. - გუბეებში, სოფ. ჩხალთაში.

N. linckia f. *piscinale* Kütz. - ნესტიან კლდეებზე იქვე; გუბეში, ნახარის უღელტეხილთან, 2100 მ.ზ.დ.

N. paludosum Kütz. - გუბეში, ნესტიან ქვებზე, ნახარის უღელტეხილთან, 2100 მ.ზ.დ.

Oscillatoria brevis (Kütz.) Gom. - გუბეებში, სოფ. ჩხალთაში.

O. limosa Ag. - გუბეში, შოსეს პირას, სოფ. გენწვიში.

O. princeps Vauch. - იქვე და წყაროს წყლისაგან შექმნილ გუბეში მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე სოფ. გენწვიშთან; გუბეში სოფ. ჩხალთაში.

O. sp. - ხავსების გამონაწურში, ნაკადულში, ქლუხორის უღელტეხილთან, 2200 მ.ზ.დ.

O. tenuis Ag. - საქონლით დაბინძურებულ გუბეებში სოფ. გენწვიში.

O. terebriformis (Ag.) Elenk. emend. - ქვებზე ხავსებს შორის პატარა ნაკადულში, ქლუხორის უღელტეხილთან, 2200 მ.ზ.დ.

Phormidium autumnale (Ag.) Gom. - ნესტიან კლდეებზე, იქვე.

Ph. favosum (Bory) Gom. - ქვებზე, დღეში სოფ. ზემო აყარაში; ქვებზე, რომლებიც სველდებიან მდ. ნახარის წყლით, ყინვართან, ნახარის უღელტეხილის ძირში.

Ph. sp. - ნესტიან კლდეებზე ქლუხორის უღელტეხილთან, 2200 მ.ზ.დ.

Ph. subfuscum (Ag.) Kütz. - ლოდებზე, რომლებიც სველდებიან კლდიდან ჩამონადენი წყლით, მდ. ყლიჩის (მდ. აქაფარა) მარცხენა ნაპირზე „სამხრეთის თავშესაფრის“ მიდამოებში, 1350 მ.ზ.დ.

Plectonema tomasinianum (Kütz.) Born. - ნესტიან კლდეებზე, რომლებიც გამუდმებით სველდებიან წყლით, სოფ. ჩხალთაში.

Schizothrix lenormandiana Gom. - ქვებზე, მდ. ჩხალთა, კოდორი, ნახარის ნაპირებზე; სოფ. ჩხალთის მიდამოებში და ნახარის უღელტეხილთან.

Sch. sp. - გუბეში ხეწკვერას ტბასთან, 1450 მ.ზ.დ.; ნესტიან კლდეებზე ქლუხორის უღელტეხილის ძირში, ყინვართან.

Scytonema ocellatum Lyngb. - ნესტიან კლდეებზე ქლუხორის უღელტეხილთან, 2200 მ.ზ.დ.

Stigonema ocellatum (Dillw.) Thur. sensu lat. Elenk. - ნესტიან ნიადაგზე, ხავსებს შორის გუბეში და ბალახოვან მცენარეთა ძირებთან, ძალიან პატარა, ძლიერ წყალმარჩხ ტბაში, ნახარის უღელტეხილთან.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ნ. კეცხოველის სახ. ბოტანიკის ინსტიტუტი.

(შემოვიდა 6.09.1994)

A.K. Kухалеიშვილი

Материалы к изучению синезеленых водорослей
(Cyanophyta) верхнего течения бассейна р. Кодори

Резюме

Альгофлора бассейна р. Кодори не была изучена. Данный труд – первая попытка восполнить этот пробел.

После обработки альгологического материала, собранного с водоемов, расположенных в верхнем течении бассейна р. Кодори, выявлено 37 видовых и внутривидовых таксонов синезеленых водорослей. Они относятся к классам Chroococcophyceae – 10 и Hormogoniophyceae – 27 представителей. Из них три вида оказались новыми для альгофлоры Грузии. Они в данной статье не приводятся.

Разнообразием и богатством синезеленых водорослей отличаются село Чхалта, подступы перевалов Нахари и Клухори, ущелье р. Хецквера, где их находили на увлажняемых брызгами водотоков скалах, камнях и железных предметах, на увлажняемой земле, а также на камнях в мелких стоячих водоемах, температура которых не превышает 8-9°C.

В статье дан список обнаруженных синезеленых водорослей с указанием экологии и местонахождения.

BOTANY

L.Kukhaleishvili

The Materials to Study Blue-Green algae (Cyanophyta) in Upper
Part of the River Kodori Basin

Summary

The river Kodori starts in south-western slopes of the main Caucasus chain. The name Kodori is after junction of the river Gvandra and Sakeni near the village of Gentsvishi.

Algae flora of the Kodori basin has not been investigated yet. 37 species and interspecies of blue-green algae have been found after the investigation of algological material picked up from the pools placed in upper flowing of the river Kodori. They belong to Chroococcophyceae – 10 classes and Hormogoniophyceae – 27 representatives. Three of them appeared to be new for the algae flora of Georgia. They are not considered in this article.

The village Chkalta, the approaches of the Nakhari and Klukhori passes, the ravine of the river Khetskvera are rich by variety and abundance of blue-green algae, where they were found on rocks, stones and metals wetted by water splashes, also on the wet ground and on stones in small reservoirs, which temperature exceeds 8-9°C.

The list of the found blue-green algae indicating the ecology and place is given in this article.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. О.А.Дробишев, О.А.Месхишвили, Ш.Б.Двали, И.С.Апхазова. Ресурсы поверхностных вод СССР. Гидрохимическое описание рек, озер и водохранилищ. Закавказье и Дагестан. Л., 9, 1, 1974.



ნ.ბარათაშვილი, ქ.ჩიქვინიძე, ა.შათირიშვილი

მევენახეობაში გამოყენებული შხამქიმიკატებით ინდუცირებული სომატური გენეტიკური ცვლილებები სოიაში (Glycine max)

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დ.ჯობაძემ 4.03.1994)

მევენახეობაში გამოყენებული შხამქიმიკატებიდან გენეტიკურად აქტიური ნაერთების გამოვლენა და მათი მოქმედების შესწავლა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ამ კულტურას საქართველოში დიდი ფართობი უჭირავს. ვაზის მავნებლების წინააღმდეგ დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახის შხამქიმიკატები გამოიყენება [1]. ისინი აქუჟყიანებენ გარემოს და ტოქსიკურად მოქმედებენ ცხოველებსა და ადამიანზე. საფუარზე შემუშავებული სპოტ-ტესტით ზოგიერთ მათგანში გამოვლენილია გენეტიკური აქტივობა [2].

ვინაიდან უნივერსალური სადიავნოზო სისტემა არ არსებობს, საჭიროა საკვლევი ნივთიერებების გამოცდა სხვადასხვა ორგანიზაციული დონისა და სტრუქტურის ტესტ-სისტემებზე. გამოვლენილი პოტენციური მუტაგენების ხმარებიდან ამოღებით ან შეზღუდვით თავიდან ავიცილებთ უარყოფითი ანტროპოგენური ფაქტორის გაუთვალისწინებელ სახიფათო მოქმედების შედეგებს.

სოია (Glycine max) უმაღლეს მცენარეთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნება, რომელთა მიმართაც შემუშავებულია მარტივი ხელსაყრელი ტესტ-სისტემა. ფენოტიპური ცვლილებებით შესაძლებელია განისაზღვროს გენეტიკურ დარღვევათა ბუნება, გამოვალინოთ პოტენციური მუტაგენები [3,4]. მაღლიერებით აღენიშნავთ, რომ ხაზი L 65-1237 გადმოგვცა პროფ. ი.ზახაროვმა (მოსკოვი, ზოგადი გენეტიკის ინსტიტუტი), რომელიც მიღებულია დოქტ. ე.კლეკოვსკისაგან (აშშ მასაჩუსეტის უნივერსიტეტი). ხაზის სტრუქტურა დეტალურადაა აღწერილი ავტორების მიერ [3,4]. მცენარე დიპლოიდაა, პეტეროზიგოტი- $Y_{11}Y_{11}$. (გენი Y_{11} ნახევრად ღომინანტია, აკონტროლებს ქლოროფილის სინთესს). მისგან მიღებული თესლი იძლევა სამ ფენოტიპურად მკვეთრად განსხვავებულ აღმონაცენებს - მწვანეს ($Y_{11}Y_{11}$), სალათისფერსა ($Y_{11}y_{11}$) და ყვითელს ($y_{11}y_{11}$) შეფარდებით 1:2:1. ყვითელი მცენარეები ქლოროფილის სინთეზის უუნარობის გამო ორი ფოთლის სტადიაზე იღუპებიან.

ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა მევენახეობაში გამოყენებული 11 შხამქიმიკატის გენეტიკური აქტივობა, რაც მოხსენიებულია 1-3 ცხრილებში. თბილისის პირობებში მიღებული 1992 წ. მოსავლის თესლები (თითოეულ ვარიანტში 100 თესლი) მუშავდებოდა საკვლევი ნივთიერების 0,1% ხსნარით (მევენახეობაში გამოყენებული მიახლოებითი დოზა), 24 სთ. ექსპოზიციით. სათანადო წესით გარეცხილი თესლები ითესებოდა ხის ყუთებში, ანალიზდებოდა ერთთვიანი აღმონაცენები. მიღებულ შედეგებს ვამუშავებდით ავტორთა მიერ მოწოდებული მეთოდით [3,4]. მათი რეკომენდაციით საჭიროა პირველი ორი მარტივი და მესამე რთული ფოთლის შესწავლა. ლაქებს ვითვლიდით ბინოკულარული მიკროსკოპით-МБС-9, X8.

ცხრილი I

მიტოზური კროსინგოვერისა და სომატური მოზაიციზმის ინდუქცია სოიის ჰეტეროზიგოტ (სალათისფერ) მცენარეებში

№	ნივთიერება	განალიზებული ფოთლების საერთო რაოდენობა	ლაქების საერთო რაოდენობა	ლაქების საშ. რაოდენობა ერთ ფოთოლზე			სულ
				ყვითელი	მწვანე	ერმაგი	
1	საკონტროლო ფოზალონი	150	188	0,93 ± 0,15	0,26 ± 0,08	0,05	1,25 ± 0,23
2	ცინები	120	277	1,41 ± 0,08	0,80 ± 0,08	0,10	2,31 ± 0,16
3	ეპიდორი	123	445	2,82 ± 0,16	0,56 ± 0,09	0,23	3,62 ± 0,25
4	ეპიდორი	60	351	4,40 ± 0,22	1,25 ± 0,12	0,20	5,85 ± 0,34
5	აკარტანი	100	149	0,94 ± 0,09	0,42 ± 0,09	0,13	1,49 ± 0,18
6	ჰექსათიურამი	112	649	4,86 ± 0,54	0,71 ± 0,08	0,22	5,79 ± 0,62
7	კარბოფოსი	126	435	2,19 ± 0,16	1,10 ± 0,09	0,16	3,45 ± 0,25
8	პოლიკარბაციინი	160	495	2,38 ± 0,22	0,58 ± 0,07	0,14	3,09 ± 0,29
9	ბაილეტონი	130	282	1,62 ± 0,09	0,31 ± 0,09	0,25	2,18 ± 0,18
10	ჰეპტათიურამი	100	543	3,74 ± 0,15	1,10 ± 0,08	0,27	5,11 ± 0,13
11	კელტანი	66	302	2,56 ± 0,14	1,88 ± 0,10	0,14	4,57 ± 0,24
12	სუმილექსი	94	417	2,29 ± 0,18	2,00 ± 0,16	0,15	4,44 ± 0,34

ცხრილი 2

პირდაპირი მუტაციების ინდუქცია სოიის მწვანე (Y₁₁Y₁₁ გენოტიპის) მცენარეებში

№	ნივთიერება	განალიზებული ფოთლების საერთო რაოდენობა	ლაქების საერთო რაოდენობა	ლაქების საშ. რაოდენობა ერთ ფოთოლზე		სულ
				ყვითელი	სალათისფერი	
1	საკონტროლო ფოზალონი	100	60	0,2 ± 0,10	0,4 ± 0,10	0,6 ± 0,20
2	ცინები	80	192	2,2 ± 0,19	0,2 ± 0,11	2,4 ± 0,30
3	ეპიდორი	66	294	4,09 ± 0,31	0,36 ± 0,12	4,45 ± 0,43
4	ეპიდორი	40	361	6,75 ± 0,38	2,28 ± 0,14	9,03 ± 0,52
5	აკარტანი	50	53	0,66 ± 0,13	0,40 ± 0,10	1,06 ± 0,23
6	ჰექსათიურამი	90	324	2,93 ± 0,27	0,67 ± 0,10	3,60 ± 0,37
7	კარბოფოსი	48	156	3,25 ± 0,12	1,29 ± 0,09	4,54 ± 0,12
8	პოლიკარბაციინი	64	476	5,25 ± 0,18	2,19 ± 0,07	7,44 ± 0,25
9	ბაილეტონი	80	99	0,70 ± 0,12	0,55 ± 0,11	1,25 ± 0,23
10	ჰეპტათიურამი	96	568	4,14 ± 0,16	1,78 ± 0,18	5,92 ± 0,34
11	კელტანი	67	618	4,67 ± 0,19	4,55 ± 0,21	9,22 ± 0,40
12	სუმილექსი	83	295	2,35 ± 0,16	1,20 ± 0,20	3,55 ± 0,36

ჰეტეროზიგოტ მცენარეებში აღირიცხებოდა მარტივი (ყვითელი, მწვანე) და ორმაგი (ერთი ნახევარი მწვანე, მეორე კი ყვითელი) ლაქები. ორმაგი ლაქები მიტოზური კროსინგოვერის შედეგია, ხოლო მარტივი კი ნაირგვარი გენეტიკური დარღვევებისა, როგორცაა მაგალითად წერტილოვანი მუტაცია, განურიდებლობა; დელეცია და სხვ. [3-5]. შხამქიმიატებმა გამოიწვიეს როგორც მიტოზური კროსინგოვერის ინდუცირება, ისე სხვადასხვა სახის გენეტიკური დარღვევები ნაირგვარი სიხშირით (ცხრ.1.).

შედარებით მაღალი რეკომბინოგენური და მუტაგენური აქტივობა გამოავლინა ხუთმა ნივთიერებამ – ჰექსათიურამმა, ჰექსათიურამმა, კელტანმა, სუმილექსმა და ებიდორმა. მწვანე ლაქები გაცილებით ნაკლები რაოდენობით ინდუცირდება, ვიდრე ყვითელი. მარტივი ლაქების არათანაბარი სიხშირით წარმოქმნა აღწერილია სხვადასხვა მიაონიზებული რადიაციისა და დეფოლიანტებით ზემოქმედების დროს [5-7].

ცხრილი 3

შებრუნებული მუტაციების ინდუქცია სოიის ყვითელ (Y₁Y₁₁ გენოტიპის) მცენარეებში

ნივთიერება	გაანალიზებული ფოთლების საერთო რაოდენობა	სალათისფერი ლაქების საერთო რაოდენობა	ლაქების საშუალო რაოდენობა ერთ ფოთოლზე
საკონტროლო	40	23	0,58 ± 0,15
1. ფოზალონი	26	28	1,08 ± 0,17
2. ცინები	32	38	1,19 ± 0,16
3. ეპიდორი	23	43	1,86 ± 0,20
4. აკარტანი	52	38	0,73 ± 0,02
5. ჰექსათიურამი	42	48	1,14 ± 0,15
6. კარბოფოსი	19	26	1,11 ± 0,21
7. პოლიკარბაცინი	19	33	1,74 ± 0,21
8. ბაილეტონი	38	40	1,05 ± 0,15
9. ჰექსათიურამი	47	61	1,30 ± 0,12
10. კელტანი	32	38	1,20 ± 0,15
11. სუმილექსი	17	37	2,18 ± 0,19

მწვანე აღმონაცენებში ყვითელი და სალათისფერი ლაქები პირდაპირი გენური ან ქლოროპლასტური მუტაციების შედეგია [3,4,6]. ჩვენს ცდებში მუტაგენური აქტივობა არ აღმოაჩნდა ორ ნივთიერებას: აკარტანსა და ბაილეტონს. დანარჩენი შხამქიმიატები სხვადასხვა სიხშირით იწვევენ მუტაციების ინდუცირებას (ცხრ.2). სამმა (ეპიდორი, კელტანი, პოლიკარბაცინი) შედარებით მაღალი მუტაგენური აქტივობა გამოავლინა.

ინდუცირებული შებრუნებული მუტაციების აღრიცხვა ცალკე ხდებოდა ყვითელ აღმონაცენებზე (ცხრ.3). მარტივ ფოთლებზე წარმოქმნილი სალათისფერი ლაქები შებრუნებული მუტაციის შედეგია [3,4]. ნივთიერებები მხოლოდ სალათისფერ ლაქებს წარმოქმნიან ნაირგვარი სიხშირით. აღსანიშნავია, რომ შხამქიმიატები პირდაპირ მუტაციებს გაცილებით მაღალი სიხშირით წარმოქმნიან, ვიდრე რევერსიებს.

ჩვენ მიერ მიღებული შედეგების ლიტერატურულ მონაცემებთან შედარება ცხადყოფს, რომ მაღალი მუტაგენური აქტივობის მქონე შხამქიმიატები თავისი მოქმედებით, სხვადასხვა სახის მიაონიზებული რადიაციის დაბალი დოზების

ეკვივალენტურია [5,6]. ჩვენ მიერ შესწავლილი მევენახეობაში გამოყენებული შხამ-ქიმიკატები გაცილებით მაღალი გენეტიკური აქტივობით ხასიათდებიან, ვიდრე ამავე ტესტ-სისტემაზე შესწავლილი მებამბეობაში გამოყენებული დეფორლიანტები [7].

თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიღა 23.03.1994)

ГЕНЕТИКА И СЕЛЕКЦИЯ

Н.А.Бараташвили, К.Р.Чиквинидзе, А.Ф.Шатиришвили

Соматические генетические изменения в сое, индуцированные ядохимикатами, применяемыми в виноградарстве

Р е з ю м е

Семена, полученные из гетерозиготной ($Y_{11}y_{11}$) сои – *Glycine max*, были обработаны 11 видами ядохимикатов, применяемых в виноградарстве (фозалон, цинеби, энидор, акартам, гексатиурам, карбофос, поликарбацин, байлетон, гептатиурам, кельтан, сумилекс). Учет митотического кроссинговера и других случаев соматического мозаицизма производили на листьях гетерозиготных ($Y_{11}y_{11}$) растений, прямых мутаций на листьях гомозиготных ($Y_{11}Y_{11}$) растений и обратных мутаций на листьях гомозиготных ($y_{11}y_{11}$) растений.

Ядохимикаты с разной частотой индуцируют все виды генетических изменений.

GENETICS AND SELECTION

N.Baratashvili, K.Chikvinidze, A.Shatirishvili

Somatic Genetic Changes in Soybean *Glycine Max* Under the Action of Poison Used in Viticulture

S u m m a r y

The seeds obtained from heterozygous soybean ($Y_{11}y_{11}$) were subjected to the action of 11 types of toxic chemicals used in viticulture (Pozalini, Akartani, Tsins, Biotini, Karbofos, Hexatiuram, Polykarbaciini, Epidor, Heptathiuram, Keltan, Sumilex). Mitotic crossing-over and other such instances of somatic mosaicism on heterozygous plant leaves ($Y_{11}y_{11}$) were observed and direct mutations on plant leaves of the $Y_{11}Y_{11}$ genotype and reverse mutations on homozygous plant leaves ($y_{11}y_{11}$) were taken into account.

Thus toxic chemicals induce all types of genetic changes with different frequency.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. გ.გეგნავა, დ.უგრებელიძე. მევენარეთა ქიმიური დაცვის საფუძვლები. თბ., 1991.
2. А.Ф.Шатиришвили, И.И.Чучулашвили, Н.А.Бараташвили. В сб.: Проблемы экологии и охрана окружающей среды. Тбилиси, т.1., 1983, 274-277.
3. B.K.Vig, E.F.Paddock, *J.Heredity*, **59**, 255, 1968.
4. B.K.Vig. *Mutat. Res.* **31**, 49, 1975.
5. D.A.Evans, E.F. Paddock. *Theor. Appl. Genet.*, **56**, 245, 1980.
6. И.Д.Давронов, И.А.Захаров. *Генетика*, **21**, 11, 1864, 1885.
7. И.Д.Давронов. Афтореф. канд. дисс. Л., 1986.

ე.კახანაძე, მ.ბილანიშვილი

შაქრების შემცველობა ჩვეულებრივი კაკლის (*Juglans regia* L), პეკანისა და (*Carya pecan* Eng) შავი ფიჭვის (*Pinus nigra* Arn) მტვრის მარცვალში

(წარმოადგინა აკადემიკოსმა მ. გიგურმა 27.12.1994)

კაკალი ძვირფასი ხე-მცენარეა. უხსოვარი დროიდან გამოიყენება საკვებად, სამკურნალოდ და სხვა დანიშნულებით. დიდი გამოყენება აქვს მის მერქანს, ნაყოფს, ნაქუქს, ფოთლებს, წენგოს. ნაყოფი შეიცავს ცხიმს, ნახშირწყლებს, ნაირგვარ ვიტამინებს, უიგლონს და სხვა.

კაკალი მსხმოიარობს 5 - 10 წლის ხნოვანებაში. არის ფორმები, რომლებიც 3 - 4 წლისაც იძლევა ნაყოფს. კაკალი სინათლის მოყვარული მცენარეა, ცოცხლობს 200 - 400 წელს [1].

კაკლის ყვავილობის ბიოლოგია სათანადოდ შესწავლილია მკვლევართა მიერ [2 - 9]. მაგრამ ყვავილობის ბიოლოგიის (ჯვარედინი დამტვერვა, თვითდამტვერვა, აპომიქსისი) შესწავლა აუცილებელია სელექციის საკითხების დასაზუსტებლად. შესაძარებლად ავიღეთ პეკანისა და შავი ფიჭვის მტვრის მარცვალი.

პეკანი ძვირფასი მერქნიანი სწრაფმოზარდი მცენარეა, 60-65 მ სიმაღლის. დეკორატიულია, გამოიყენება სატყეო მეურნეობასა და მწვანე მშენებლობაში. აქვს მძიმე, მკვრივი, გამძლე მერქანი. ნაყოფი თხელნაქუქაა, გამოიყენება საკვებად.

შავი ფიჭვი მნიშვნელოვანია დეკორატიულობით, გამოიყენება გამწვანებაში 1500 მეტრამდე ზღ.დ., გვალვაგამძლეა, აქვს მძიმე, კარგი მერქანი. სიმაღლით 30-50 მეტრამდეა. ცოცხლობს 800 - 1000 წლამდე.

კაკლის მტვრის მარცვლის სიცოცხლისუნარიანობის შესწავლის მიზნით მტვრის მარცვლებს ვალივბდით საქაროზას 3-დან 30%-მდე ხსნარში, მტვრის მარცვალი ოთახის ტემპერატურის პირობებში გალივების უნარს ინარჩუნებს 3 - 5, ხოლო ექსიკატორსა და მაცივარში - 20 დღეს.

ცნობილია, რომ მცენარის სიცოცხლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შაქრებისა და აზოტოვანი ნივთიერებების შემადგენლობას და ცვლილებებს.

შაქრების რაოდენობა ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე აღებულ მტვრის მარცვალში განსხვავებულია. მაგალითად, ციმბირის კედრის მტვრის მარცვალი მაღალმთის და დაბლობის პირობებში საქაროზას ერთნაირი რაოდენობით შეიცავს, ხოლო რაფინოზა მთის პირობებში 2-ჯერ მეტია, ვიდრე დაბლობში [6].

კაკლის 1 - 2-წლიანი ტოტები შეიცავს საქაროზას და გლუკოზას, რომელთა რაოდენობა იმატებს ზამთარში [3].

ნახშირწყლები მტვრის მარცვალში ასრულებს სხვადასხვა ფუნქციას: კონსტიტუციურს, საამშენებლო მასალას ბირთვისათვის, სარეზერვო ენერჯის წყაროს და სუბსტრატს ზრდისათვის.

ჩვენი გამოკვლევებით, ჩვეულებრივი კაკლის, პეკანის და შავი ფიჭვის მტვრის მარცვალში შაქრიანობის შემცველობა განსხვავებული მაჩვენებლებით ხასიათდება (იხ. ცხრილი).

შაქრების და ამინომჟავების შემცველობა კაკლის, პეკანის და შავი ფიჭვის მტვრის მარცვალში ქრომატოგრაფიის მეთოდით განსაზღვრეთ. აღმოჩნდა, რომ ჩვეულებრივი კაკლის მტვრის მარცვალი შეიცავს 4 ფორმის შაქარს: საქაროზას, გლუკოზას, ფრუქტოზას და რაფინოზას. კაკლის მტვრის გამონაწურში მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა საქაროზა.

ასეთივე შემადგენლობის შაქარს შეიცავს პეკანისა და შავი ფიჭვის მტვრის მარცვალი. აღნიშნული მცენარეების მტვერში შაქრების კონცენტრაცია განსხვავდება ერთმანეთისაგან. ქარბი რაოდენობით აღინიშნა ჩვეულებრივ კაკალში საქაროზა - 7,8%, პეკანში - 6,9%, ფიჭვში - 4,8%.

ც ხ რ ი ლ ი

შაქრების შემცველობა კაკლის, პეკანისა და შავი ფიჭვის მტვრის მარცვალში (%-ით)

	შაქრები	მცენარის დასახელება		
		კაკალი <i>Juglans regia L</i>	პეკანი <i>Carya pecan Engl</i>	შავი ფიჭვი <i>Pinus nigra Arn</i>
1.	რაფინოზა	ძლ.მცირე	0	0
2.	საქაროზა	7,8	6,9	4,8
3.	გლუკოზა	0,6	0,3	0,5
4.	ფრუქტოზა	1,2	0,6	0,6

შედარებით ნაკლებია გლუკოზა პეკანში - 0,3%, ფიჭვში - 0,5%, ფრუქტოზა პეკანსა და შავ ფიჭვში 0,6% აღინიშნა.

აღსანიშნავია, რომ კაკლის მტვრის მარცვალი შეიცავს რაფინოზას, რომელიც პეკანსა და შავი ფიჭვის მტვრის მარცვალში არ აღინიშნა.

ამრიგად, კაკლის მტვრის მარცვალი შეიცავს საქაროზას, გლუკოზას, ფრუქტოზას და მცირე რაოდენობით რაფინოზას; ეს უკანასკნელი პეკანსა და ფიჭვის მტვრის მარცვალში არ აღმოჩნდა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ვ.გულისაშვილის სახელობის სამთო
მეტყვეობის ინსტიტუტი

(შემოვიდა 5.1.1995)

ФИЗИОЛОГИЯ РАСТЕНИЙ

Е.Е.Капанадзе, М.С.Биланишвили

Содержание сахаров в пыльце ореха грецкого, пекана и сосны черной

Резюме

Изучено содержание сахаров в пыльце хроматографическим методом. Оказалось, что пыльца ореха содержит сахарозу, глюкозу и фруктозу, из них в большом количестве сахароза, а в виде следов - рафиноза. Пыльца пекана и сосны черной содержит сахарозу, глюкозу



и фруктозу. Следовательно, все изученные растения в пыльце содержат больше сахарозы, а глюкозу и фруктозу – сравнительно меньше.

PLANT PHYSIOLOGY

E.Kapanadze, M.Bilanishvili

The Content of Sugar in Pollens of Walnut, Pecan and Black Pine Trees

Summary

The content of sugar in pollens was studied by chromatographic method. It was found that the pollens of walnut consisted of saccharose, glucose and fructose, of which saccharose in great number, afterwards - raffinose. The pollens of pecan and black pine trees maintained of saccharose, glucose and fructose. Thus, all studied plants keep in pollens more great number of saccharose, but glucose and fructose were comparatively less.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. კაკლის სარგავი მასალის გამოყვანის, პლანტაციების და ტყე-ბაღების გაშენების აგროტექნიკური წესები. თბილისი, 1988.
2. *Г.И.Канчавели*. Грецкий орех в Грузии. М., 1968.
3. *Е.Е.Капанაძე*. В сб.: Проблемы ореховодства. Тбилиси, 1985.
4. *Л.Б.Махатадзе и др.* Ж. Лесное хозяйство, 2, 1992.
5. *Л.Б.Махатадзе*. В сб.: Проблемы ореховодства. Тбилиси, 1985.
6. *Г.В.Осетрова, Ф.Н.Кудашова*. Углеводный и аминокислотный состав пыльцы и кедр сибирского и сосны обыкновенной. Красноярск, 1972.
7. *Г.Я.Рудь и др.* Тр.Кишиневского СХИ, 120, 1974.
8. *Л.А.Смолянинова*. Культурная флора СССР, т.XVII. Орехоплодные. М.-Л., 1936.
9. *И.И.Чодришвили*. Грецкий орех и его культура в Грузии. Тбилиси. 1976.

№68 581.143.6

ბიოქიმია

ა. სოფრომაძე, დ. გულბანი, ქ. მჭედლიშვილი

ფენილალანინ-ამიაკ-ლიაზას ლოკალიზაციის საკითხისათვის ვაზის ფოთლის ქლოროპლასტებში

(წარმოდგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ. ნუცუბიძემ 28.06.1993)

ფენოლურ ნაერთებს ვაზის მეტაბოლიზმში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. აკუმულირდებიან რა ვაზის როგორც ვეგეტატიურ, ისე რეპროდუქციულ ორგანოებში, ისინი რამდენადმე განსაზღვრავენ ადამიანის ორგანიზმზე ყურძნის და შესაბამისად ღვინის მოქმედების ბიოლოგიურ ეფექტს. ქიმიური თვალსაზრისით ვაზში ფენოლურ ნაერთთა თითქმის სრული ასპექტრია წარმოდგენილი: ფენოლკარ-ბონმჟავები, კატეხინები, პროანთოციანიდინები, ანთოციანები, ფლავონოლები, ფლავონები და სხვ. [1-4]. ეს გარემოება ბუნებრივად სვამს საკითხს ვაზში (და საერთოდ მცენარეში) აღნიშნულ ნაერთთა ფიზიოლოგიური როლის გარკვევის შესახებ. ამ ასპექტით მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის მცენარეში ფენოლურ ნაერთთა უჯრედშიდა ლოკალიზაციის, ბიოსინთეზისა და გარდაქმნის თავისებურებათა გამოკვლევა.

ჩატარებული სამუშაოების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფენოლური ნაერთები უჯრედში ლოკალიზებულია და შესაბამისად მათი ბიოსინთეზი ხორციელდება სულ ცოტა სამ „კომპარტმენტულ ცენტრში“. ესენია: ქლოროპლასტები, მიკროსომები (ენდოპლაზმური ბადე) და მიტოქონდრიები + მიკროსხეულაკები [5]. პრიორიტეტს ამ მხრივ ქლოროპლასტებს ანიჭებენ, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფენოლურ ნაერთთა ბიოსინთეზი, აღნიშნულ ნაერთთა ბუნებისა და მცენარის სახეობის მიხედვით, გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება. სპეციფიკურობა, ბუნებრივია, ვლინდება ფენოლურ ნაერთთა ბიოსინთეზში მონაწილე ფერმენტების უჯრედშიდა ლოკალიზაციისა და მათი აქტივობის სინთეზის პროცესთან კორელაციის მხრივაც.

ფენოლურ ნაერთთა ბიოსინთეზის რეგულაციაში მონაწილე ფერმენტთა შორის ფენილალანინ-ამიაკ-ლიაზას (ფალ. ფერმენტთა კლასიფიკაციით 4.3.1.5) გადამწყვეტი (ე.წ. „გასაღები“ ფერმენტის) მნიშვნელობა ენიჭება. იგი აკატალიზებს L-ფენილალანინის დეზამინირების პროცესს ტრანს-დარიჩინმჟავას წარმოქმნით. ეს უკანასკნელი კი ფენოლურ ნაერთთა ბიოსინთეზში ძირითად საწყის სუბსტრატს წარმოადგენს. სწორედ ეს გარემოება განსაზღვრავს შპალ-ის შესწავლის მეცნიერულ ინტერესს. მონაცემები აღნიშნული ფერმენტის შესახებ ლიტერატურაში გვხვდება 1961 წლიდან [6]. ციტოლოგიური ასპექტით ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით, შპალ-ის აქტივობა უფრო ხშირად აღმოჩენილია ხსნად მდგომარეობაში-ციტოზოლში (უჯრედის მემბრანებთან დაუკავშირებლად), იშვიათად - უჯრედის ორგანოებში [7-9]. ვაზი, რომლის ნივთიერებათა ცვლაშიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ფენოლურ ნაერთებს უჭირავს, ამ თვალსაზრისით სრულიად შეუსწავლეოა. ვაზის ფენოლურ ნაერთთა ქიმიური

ბუნების დადგენამ [1-4] აუცილებელი წანამძღვრები შექმნა მათი უჭრედშიდა ლოკალიზაციისა და ბიოსინთეზის თავისებურებათა კვლევებისათვის.

წინამდებარე სტატიაში განხილულია ვაზის ფოთლის ქლოროპლასტებში ფენოლურ ნაერთთა ბიოსინთეზის ძირითადი ფერმენტის - ფალ-ის ლოკალიზაციის შესასწავლად ჩატარებული სამუშაოს შედეგები.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა „საფერავის“ ჯიშის ვაზი (*Vitis Vinifera L.*). ქლოროპლასტები გამოყოფილ იქნა ფოთლებიდან, რომლებიც აღებული იყო ოთახის პირობებში 22-25°C-ზე წყალში დაფესვიანებული კალმებიდან. გამოვიყენეთ [10]

სტატიაში აღწერილი მეთოდის მკირგოდენი მოდიფიცირებით. გარკვეული წონის (150-200 გ) კარგად გასუფთავებული ფოთოლი დავექირით წვრილად უქანგავი მაკრატლით, მოვათავსეთ ჰომოგენიზატორში და ჰომოგენიზირებისათვის დავუმატეთ შემდეგი შემადგენლობის ხსნარი: 1, 25M NaCl, 50mM ტრის-HCl(pH8), 25mM ედტა Na(pH8), 0,1%-იანი ხარის (ან ადამიანის) შრატის ალბუმინი, 10mM β - მერკაპტოეთანოლი. შეფარდება აღებულ მასალასა და ჰომოგენიზაციის არეს შორის შეადგენდა შესაბამისად 1:3 ან 1:5, ჰომოგენიზაციის ხანგრძლივობა - 20-25 სეკ. ჰომოგენიზირება გავფილტრეთ ოთხჯერა დოლბანდში, ფილტრატი დავაცენტრიფუგირეთ 3500 ბრ/წთ 5 წუთის განმავლობაში. მოვახდინეთ ნალექის სუსპენდირება ჰომოგენიზაციის არეში ფრთხილად - აკვარელის რბილი ფუნჯით (შეფარდება ნალექსა და ჰომოგენიზაციის არეს შორის - 1:1,2 ან 1:1,5) და ისევ დავაცენტრიფუგირეთ 3500 ბრ/წთ 5 წუთის განმავლობაში. აღნიშნული პროცედურა გავიმეორეთ კიდევ ერთხელ. ნალექზედა სითხე საუკეთესო შემთხვევაში (თუ ქლოროპლასტები დაშლილი არ არის) გამჭვირვალე უნდა იყოს. საბოლოოდ მიღებული ნალექი წარმოადგენს სუფთა ქლოროპლასტებს (კონტროლი მიკროსკოპული ანალიზით). ქლოროპლასტების გამოყოფის ყველა პროცედურა ჩავატარეთ მაცივარ ოთახში 2-4°C-ზე. ქლოროპლასტებში ფალ-ის ლოკალიზაციის საკითხის შესწავლამდე აღნიშნული ფერმენტის აქტივობა განვსაზღვრეთ ვაზის მთლიან ფოთოლში. ვისარგებლეთ შემდეგი მეთოდით [11]: 5-10გ ფოთოლი გავსრისეთ ფაიფურის სანაყში 0,1M ბორატის ბუფერში (pH 8,7). შეფარდება მასალასა და ბუფერს შორის - 1:5. ჰომოგენიზირება გავფილტრეთ ოთხჯერა დოლბანდში, ფილტრატს დავუმატეთ ცივი აცეტონი (1:2), წარმოქმნილი ნალექი ხსნარს მოვაცილეთ ცენტრიფუგირებით 2000-3000 ბრ/წთ 5 წუთის განმავლობაში. ნალექის სუსპენდირება მოვახდინეთ 0,1M ბორატის ბუფერში (შეფარდება 1:3), დავაცენტრიფუგირეთ იმავე პირობებში. ნალექზედა ხსნარს დავუმატეთ (NH₄)₂SO₄ იმ რაოდენობით, რომ არეში შექმნილიყო 70%-იანი გაჯერება. ხსნარი დავაცენტრიფუგირეთ, ნალექი გავხსენით ბორატის ბუფერში (შეფარდება 1:2), დავუმატეთ 4mM β-მერკაპტოეთანოლი და 10⁻⁴ M ნატრიუმისდიეთილდითიოკარბამატი. მიღებული ხსნარის დიალიზი მიმდინარეობდა 0,01M ბორატის ბუფერში (pH 8,8) 2 საათის განმავლობაში. დიალიზის შემდეგ მიღებული ხსნარი, როგორც ფერმენტული პრეპარატი, გამოვიყენეთ ფალ-ის აქტივობის განსაზღვრისათვის. ხსნარს დავუმატეთ 200μM 0,1M ბორატის ბუფერი და 30μM L-ფენილალანინი, მოვათავსეთ წყლის აბაზანაში 37°C-ზე 1 საათის განმავლობაში, რის შემდეგაც რეაქცია შევწყვიტეთ 0,5 მლ 6N HCl-ის დამატებით. რეაქციის შედეგად წარმოქმნილი დარიჩინმჟავა გამოვწვლილეთ დიეთილეთერით. დარიჩინმჟავას რაოდენობა გამოვთვალეთ სპექტროფოტომეტრული მეთოდით λ მაქს 269 ნმ-ზე აუტენტიკურ დარიჩინმჟავაზე აგებული სტანდარტული მრუდის მიხედვით.

საკონტროლოდ ავიღეთ ფერმენტული პრეპარატი ამინომჟავას დამატების გარეშე. ფერმენტის აქტივობა გამოიხატება მკგ-ში 1 მგ ცილაზე 1 საათის განმავლობაში 37°C-ზე წარმოქმნილი დარიჩინმჟავას რაოდენობით. ცილის რაოდენობა განვსაზღვრეთ სპექტროფოტომეტრული მეთოდით 2 მკმს 595 ნმ-ზე [12]. ფშლ-ის აქტივობის განსაზღვრის წინ ქლოროპლასტები დავშალეთ ულტრაბგერით. მიღებული მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში. ისინი მიღებულია ოთხჯერადი განმეორების შედეგად.

ცხრილი

ფენილალანინ-ამიაკ-ლიაზის აქტივობა 1სთ განმავლობაში
L-ფენილალანინიდან წარმოქმნილი დარიჩინმჟავას რაოდენობის
მიხედვით 1 მგ ცილაზე გადაანგარიშებით

საანალიზო მასალა	დარიჩინმჟავა, მკგ/მგ ცილაზე
ფოთოლი	6,50±0,10
ქლოროპლასტები	0,03±0,002

როგორც ცხრილის მონაცემები გვიჩვენებენ, ვაზის ფოთლის ქლოროპლასტებში ფშლ-ის აქტივობა უმნიშვნელოა. იგი ფოთლის ფშლ-ის საერთო აქტივობის 0,5%-ს შეადგენს. აღნიშნული ფერმენტი, როგორც ჩანს, ვაზის ფოთლის ქლოროპლასტებში ლოკალიზებული არ არის. ეს მონაცემები კორელაციაშია ჩვენ მიერ ვაზის ფოთლის ქლოროპლასტებში ფენოლური ნაერთების, კერძოდ, ფენოლკარბონმჟავებისა და პროანთოციანიდინების ძიებისას მიღებულ შედეგებთან: ფენოლკარბონმჟავები ვაზის ფოთლის ქლოროპლასტებში არ აღმოჩნდა, რაც შეეხება პროანთოციანიდინებს, ისინი მათში შედარებით მცირე რაოდენობით იქნა ნაპოვნი (მონაცემები გადაცემულია დასასტამბად).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ს.ლურშიძის სახ. მცენარეთა ბიოქიმიის
ინსტიტუტი.

(შემოვიდა 30.8.1993)

БИОХИМИЯ

А. Н. Сопромадзе, Д. И. Гулбани, К. Ш. Мchedlishvili

К вопросу локализации фенилаланин-аммиак-лиазы в хлоропластах листьев виноградной лозы

Резюме

Изучен вопрос локализации фенилаланин-аммиак-лиазы, ключевого фермента биосинтеза фенольных соединений в хлоропластах молодых листьев виноградной лозы сорта „Саперави“ (*Vitis vinifera* L.). Установлено, что активность упомянутого фермента в хлоропластах листьев лозы незначительна, основная доля активности локализована вне этой органеллы.

A. Sopromadze, D. Gulbani, K. Mchedlishvili

On the Localization of Phenylalanine-Ammonia-Lyase in Chloroplasts of Grapevine Leaves

Summary

Localization of phenylalanine-ammonia-lyase, enzyme quantity of phenolic compound biosynthesis in chloroplasts of grapevine young leaves, variety "Saperavi" (*Vitis vinifera* L.) has been studied. It was established that the activity of the mentioned enzyme in chloroplasts of grapevine leaves were in a negligible amount. The main activity is localized out of these organelles.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. *С. В. Дурмишидзе*. Дубильные вещества и антоцианы виноградной лозы и вина. М., 1955.
2. *P. Ribereau-Gayot*. Les composés phénoliques des végétaux. Paris, Dunod, 1968.
3. *А. Н. Сопромадзе*. Автореф. канд. дисс. Тбилиси, 1974.
4. *А. Н. Сопромадзе, Д. И. Гулбани*. Прикладная биохимия и микробиология **16**, 4, 1980, 612.
5. *М. Н. Запрометов*. В кн.: Новые направления в физиологии растений. М., 1985, 143.
6. *F. Koukol, E. E. Conn*. J. Biol. Chem., 23b, 1961, 2692.
7. *E. L. Samt, G. H. N. Towers*. Phytochem., 12, 1973, 961.
8. *V. Monties*. C. R. C.-278, 1974, 1465.
9. *С. В. Шпилова, М. Н. Запрометов*. Доклады АН СССР, **246**, 1, 1979, 239.
10. *G. Vookuans*. Analytical. Biochem., **141** 1, 1984, 244.
11. *M. Zucker*. Plant Physiol., 23, 1972, 133.
12. *P. Скоупс*. Методы очистки белков. М., 1985, 342.

Р.А.Гахокидзе, А.Т.Бериашвили

Влияние некоторых производных 2-дезоксид-Д-глюкозы на процесс дыхания

(Представлено членом-корреспондентом Академии Д.И.Джохадзе 15.09.1993)

В растительных объектах, кроме кислот цикла Кребса, обнаружены органические кислоты, образующиеся из сахаров [1]. Их условно называют кислотами первичного окисления сахаров (КПОС). Биохимическая роль этих кислот в процессе дыхания изучена недостаточно. Одним из нас высказано предположение о возможности образования органических кислот по альтернативному пути [2]. Позже было показано, что 2-дезоксид-Д-глюконовая кислота может служить дыхательным субстратом в дрожжах *Saccharomyces cerevisiae* [3].

Целью настоящей работы явилось сравнительно детальное изучение влияния одного из представителей КПОС-2-дезоксид-Д-глюконовой кислоты и ее производных: кальциевой соли и 1,4-лактона-2-дезоксид-Д-глюконовой кислоты, на процесс дыхания.




Рис.1. Влияние D-глюкозы, 2-дезоксид-Д-глюконовой кислоты, кальциевой соли и 1,4-лактона-2-дезоксид-Д-глюконовой кислоты на процесс дыхания:

- I — D-глюкоза — 2,5 мг;
- II — 2-дезоксид-Д-глюконовая кислота — 2,5 мг;
- III — кальциевая соль 2-дезоксид-Д-глюконовой кислоты — 2,5 мг;
- IV — 1,4-лактон-2-дезоксид-Д-глюконовой кислоты — 2,5 мг;
- V — 1% суспензия дрожжей *Saccharomyces cerevisiae* в 0,9 %-ном растворе KCl — 6 мл

Объектом исследования служила суспензия дрожжевых интактных клеток *Saccharomyces cerevisiae* в 0,9 %-ном растворе KCl. Концентрация была подобрана таким образом, что количество клеток в 1 мл суспензии составляло — $5,15 \cdot 10^8$ клеток/мл. Счет клеток проводили с помощью микроскопа МБИ-3 в камере Тома-Цейса [4].

За процессом дыхания наблюдали с помощью регистрации изменения концентрации кислорода анализируемой суспензии клеток. Регистрацию изменения концентрации кислорода проводили на полярографе „Дигоми“, ячейка которого снабжена кислородоселективным электродом.

Данные, представленные на рис. 1, показывают, что выше-



указанные соединения с различной активностью включаются в дыхательный процесс. В частности, в случае кальциевой соли, и особенно лактона 2-дезоксид-D-глюконовой кислоты, скорость потребления кислорода меньше, чем при утилизации 2-дезоксид-D-глюконовой кислоты. Этот факт, с одной стороны, можно объяснить низкой проницаемостью в клетку, а с другой стороны — пониженным потреблением этих соединений в дыхательном процессе. Если в случае кальциевой соли это допущение объяснимо плохой проницаемостью двухвалентных катионов в дрожжевые клетки [5], то в отношении лактона 2-дезоксид-D-глюконовой кислоты объяснение этого факта требует дополнительных исследований.




Рис.2. Влияние NaF ($6,8 \cdot 10^{-4}$ М) на процесс дыхания при использовании в качестве субстрата D-глюкозы и 2-дезоксид-D-глюконовой кислоты:

- I, II — без добавления NaF;
- III, IV — с добавлением NaF;
- I — D-глюкоза — 2,5 мг;
- II — 2-дезоксид-D-глюконовая кислота — 2,5 мг;
- III — D-глюкоза — 2,5 мг;
- IV — 2-дезоксид-D-глюконовая кислота — 2,5 мг;
- V — 1% суспензия дрожжей *Saccharomyces cerevisiae* в 0,9 %-ном растворе KCl — 6 мл

малоновой кислоты $5,8 \cdot 10^{-2}$ М ингибировалось дыхание при использовании в качестве субстрата как глюкозы, так и 2-дезоксид-D-глюконовой кислоты.

Известно, что в зависимости от концентрации некоторые ингибиторы, в том числе NaF, являются стимуляторами дыхания (7). Нами была выявлена концентрация NaF $6,2 \cdot 10^{-4}$ М, при которой дыхание стимулировалось при использовании в качестве субстрата глюкозы и резко ингибировалось при использовании 2-дезоксид-D-глюконовой кислоты (рис.2). Эти данные свидетельствуют о том, что

Высокая скорость потребления кислорода при утилизации 2-дезоксид-D-глюконовой кислоты, по сравнению с глюкозой, наблюдаемая и раньше [2], указывает на наличие активного транспорта данного соединения в клетки дрожжей [6].

Для выявления механизмов включения 2-дезоксид-D-глюконовой кислоты в дыхательный процесс нами был использован ингибиторный метод. Следовало доказать, происходит ли утилизация этого соединения сходным путем классического катаболизма глюкозы или же 2-дезоксид-D-глюконовая кислота превращается по альтернативному пути.

Ингибиторы дыхания — фтористый натрий и малоновая кислота — добавлялись за 20-30 минут до внесения субстрата. При использовании NaF концентрации $2,5 \cdot 10^{-3}$ М и

пути утилизации глюкозы и 2-дезоксид-D-глюконовой кислоты




Рис.3. Влияние одновременного введения D-глюкозы и 2-дезоксид-D-глюконовой кислоты на процесс дыхания:

- I – D-глюкоза – 2,5 мг;
- II – 2-дезоксид-D-глюконовая кислота – 2,5 мг;
- III – D-глюкоза – 2,5 мг + 2-дезоксид-D-глюконовая кислота – 2,5 мг;
- IV – 1% суспензия дрожжей *Saccharomyces cerevisiae* в 0,9% растворе KCl – 6 мл

битором пентозофосфатного цикла (8) или же конкуренция происходит за транспорт в клетку. Известно также, что 2-дезоксид-D-глюкоза является ингибитором усвоения D-глюкозы [9]. Не исключено, что 2-дезоксид-D-глюконовая кислота, по строению схожая с 2-дезоксид-D-глюкозой, также конкурирует с глюкозой, так как в транспортировке в клетку контролирующим фактором является стереоспецифическая структура [10].

Вышесказанное дает основание предположить, что пути утилизации 2-дезоксид-D-глюконовой кислоты в *Saccharomyces cerevisiae*, если не полностью, то хотя бы на определенной стадии, отличаются от катаболических путей превращения глюкозы.

Тбилисский государственный
университет им.И.А.Джавахишвили

(Поступило 23.09.1993)

неодинаковы.

Эксперименты показали, что одновременное внесение в анализируемую суспензию глюкозы и 2-дезоксид-D-глюконовой кислоты (в одинаковом количестве) вызывает двухступенчатое стимулирование потребления кислорода. Сопоставив кривые рис. 1 и 3, можно предположить, что первая ступень стимуляции дыхания вызвана 2-дезоксид-D-глюконовой кислотой, а вторая – глюкозой. Этот факт можно объяснить либо конкурирующим эффектом 2-дезоксид-D-глюконовой кислоты с глюкозой в катаболических превращениях, так как известно, что 2-дезоксид-D-глюконовая кислота является конкурирующим инги-

რ. გახოკიძე, ლ. ბერიაშვილი

2-დეზოქსი-D-გლუკოზის ზოგიერთი წარმოებულის გავლენა სუნთქვით პროცესზე

რეზიუმე

ნაჩვენებია, რომ 2-დეზოქსი-D-გლუკონმჟავა, მისი კალციუმის მარილი და ლაქტონი განსხვავებული აქტივობით ერთვება საფუარ SACCHAROMYCES CEREVISIAE-ს სუნთქვით პროცესში.

გლუკოზისა და 2-დეზოქსი-D-გლუკონმჟავას ერთდროული მიწოდებისას, მეტაბოლურ პროცესებში, ჯერ 2-დეზოქსი-D-გლუკონმჟავა ერთვება, ხოლო შემდეგ - გლუკოზა.

ინჰიბიტორების გამოყენებით ნაჩვენებია, რომ გლუკოზისა და 2-დეზოქსი-D-გლუკონმჟავას კატაბოლური გზები განსხვავებულია.

BIOCHEMISTRY

R. Gakhokidze, L. Beriashvili

The Influence of Some 2-Deoxy-D-Glucose Derivatives on Respiratory Process

Summary

It has been shown that 2-deoxy-D-gluconic acid, its calcium salt and lactone incorporate with different activity into the respiratory process of yeast *Saccharomyces cerevisiae*.

At simultaneous supply of glucose and 2-deoxy-D-gluconic acid during the metabolic process, first 2-deoxy-D-gluconic acid was incorporated, and then - glucose.

Different ways of glucose and 2-deoxy-D-gluconic acid utilization have been stated while using inhibitors.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. *С.В.Солдатенков*. Обмен органических кислот у растений. XXX Тимирязевские чтения. М. 1971.
2. *Р.А.Гахокидзе* Сообщ. АН ГССР, **104**, 2, 1981.
3. *Н.М.Цицишвили, Р.А.Гахокидзе, Г.В.Абуладзе*. Сб. трудов Ин-та фармакохимии, вып. 16. Тбилиси, 1987.
4. *Т.И.Моснашвили*. Микробиологический анализ продуктов винограда. Тбилиси, 1969.
5. *A.Rothstein, A.D.Hayes, D.H.Jennings*. J.Gen.Physiol., 41, 1958.
6. *A.H.Rose, Y.S.Harrison*. Physiology and Biotechnology of Yeasts, 2, 1971.
7. *H.Borei*. Biochem. Z. **312**, 160, 1942. По: *Л.Уеббу*. Ингибиторы ферментов и метаболизма. М. 1966.
8. *W.S. Beck*. J. Biol. Chem. **232**, 1958.
9. *A.Kotyk, A.Kleinzeller*. Biochem. Biophys. Acta, **135**, 1967.
10. *V.P. Cirillo*. J. Vast., **95**, 1968. По: *Э.Киртадзе, Т.Курдованидзе*. Биохимические особенности вторичного спиртового брожения. Тбилиси, 1992.

ო.გორგაძე, ე.ცხადაია

აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული დიდი ციცინათელას (*Lampyris noctiluca*) ბიოლოგიის შესწავლა მისი ხელოვნურად გამრავლების მიზნით


(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ბ. ყურაშვილმა 12.09.1993)

ციცინათელები (გვარი *Lampyris*) მიეკუთვნებიან ზოქოების რიგს. საქართველოში ცნობილია ორი სახეობა: *L.mingrelica*, რომელიც შავი ზღვის სანაპიროსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გვხვდება, და აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული *L.noctiluca*.

ციცინათელების მატლები მტაცებლები არიან და ბუნებაში ძირითადად მოლუსკებით იკვებიან. ამ მოლუსკებს შორის არიან ისეთი ფორმები, რომლებიც ვნებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ტყის მცენარეულობას. ციციანათელას სხეულისაგან მიღებული ნივთიერება ლუციფერინი გამოიყენება მედიცინაში ინფარქტის დიაგნოსტიკისათვის [1]. ბუნებაში ციციანათელების დაცვას და მათი ხელოვნურად გამრავლების მეთოდების შემუშავებას გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა აღმოსავლეთ საქართველოში ციციანათელების სახეობრივი შემადგენლობა, ბიოლოგია და გამრავლება. ამ მიზნით სამიხობო სამუშაოები ჩატარდა (1988-1990 წლის ივნისის, ივლისის, აგვისტოსა და ნოემბრის თვეებში) საგურამოს, ცხვარიჭამიას, თეზმისა და კველიანის მიმდებარე ტერიტორიებზე (მცხეთის რაიონი). აღნიშნულ რაიონში ბუნებრივი ეკოსისტემების (ფოთლოვანი ტყის, ბუჩქოვანების, საძოვარი მინდვრების) და აგროცენოზების შესწავლისას გამოვლენილ იქნა ციციანათელას მხოლოდ ერთი სახეობა, რომელიც ლიტერატურაში დიდი ციციანათელას *L.noctiluca*-ს (ივანოვის ჭიის) სახელითაა ცნობილი [2]. აღნიშნული სახეობა იშვიათია და საჭიროებს დაცვას (სურ. 1).

მკვლევართა ნაშრომებში დიდი ციციანათელას ბიოლოგიის შესახებ სხვადასხვა მონაცემები არსებობს. ნევპორტი [3] და ფოგელი [4] თვლიან, რომ ციციანათელას ბუნებრივი განვითარების ციკლი ერთწლიანია. შვალბის [5] მონაცემებით კი იგი 3 წელს გრძელდება. შვალბი იმასაც მიუთითებს,



ა

ბ

სურ.1. დიდი ციციანათელა
ა-მამალი, ბ-დედალი

რომ ლაბორატორიულ პირობებში ოპტიმალური ტემპერატურის დროს სრული განვითარება შეიძლება მოხდეს 10-12 თვის, ხოლო დავიდოვას [6] მონაცემებით 6 თვის განმავლობაში. ასევე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს ციციანათელას მატლის კანის ცვლასთან დაკავშირებით. შვალბს [5] მიაჩნია, რომ მატლს 6 კანის ცვლა აქვს, ხოლო ნესესს [7] მიხედვით სამამლე მატლებს 4 კანის ცვლა ახასიათებთ, სადელდეს - 5; დავიდოვას [6]




მიხედვით სამამლე მატლების უმრავლესობას აქვს 6, ზოგჯერ 7 კანის ცვლა, ხშირად სადელღეს - 8.

სეზონზე (1988 წ. ივნისი, ივლისი) შეგროვდა დიდი ციკინათელას 124 ეგზემპლარი. აქედან 74 იყო III-IV ასაკის მატლი, 32 მამალი და 18 დედალი. ბიოლოგიის შესწავლის მიზნით აღნიშნულ ციკინათელებს ვათავსებდით კიუვეტებში, სადაც იყო ნიადაგი, მწვანე ხავსი, ხმელი ბალახი, ფოთლები და კუნძები. მწვანე ხავსს დროდადრო ონკანის წყლით ვასველებდით. აღნიშნული ციკინათელები ვითარდებოდნენ როგორც ოთახის პირობებში 17-19°C-ზე, ასევე თერმოსტატში მულმივი ტემპერატურისა (22°C) და ჰაერის 93% შეფარდებითი ტენიანობის პირობებში.

მატლების საკვებად ძირითადად ვიყენებდით სხვადასხვა სახეობის მოლუსკებს, როგორცაა *Xerocecta cherbentina* (Krun), *Helix buchi* Pfr., *H. lucorum* (Krun); *Deroceras* sp., *Limax flavus* L-ს; მცენარეული საკვებიდან - პანტის, ვაშლის, ქლიავის და სხვა მცენარეთა ნაყოფებს.

ჩვენი დაკვირვებით დიდი ციკინათელას ზრდასრულ ინდივიდებში პოპულაციის პერიოდი 3-4 დღეს გრძელდება. კვერცხის დება იწყება განაყოფიერებიდან 9-10 დღის შემდეგ და გრძელდება 5-6 დღეს. ყველაზე ინტენსიური კვერცხის დება მე-2-3 დღეს აღინიშნა (სურ.2).



სურ.2. ციკინათელას კვერცხების დების დინამიკა (9-საშუალო გამოვრების მიხედვით)

თითოეულ ეგზემპლარზე ($n=7$) კვერცხების საშუალო რაოდენობა 85,5 უდრის; მინიმალურის - 52,3; მაქსიმალურის - 160-ს. სუბსტრატზე ან ხავსში კვერცხები თავსდება თითო-თითოდ, სამსამი, ხუთ-ხუთი და ხშირად ჭგუფურად. კვერცხს სფერული ფორმა აქვს და მისი დიამეტრი 1,2 მმ-ს უდრის. ციკინათელას ზრდასრული ინდივიდები არ იკვებებიან. მამალი დედლის განაყოფიერებიდან მე-3, მე-4

დღეს კვდება, ხოლო დედალი კვერცხებიდან მე-3 დღეს. ახალდადებული კვერცხი ყვითელი ფერისაა, სიბნელეში უმნიშვნელოდ ანათებს (ფოსფორის შემცველობის გამო). რვა, ცხრა დღის შემდეგ იგი ფერს იცვლის. მოყვითალო-მოთეთრო ფერისა ხდება. 15-16 დღიანი კვერცხის შუა ნაწილი მნიშვნელოვნად გამჭირვალეა. ამ პერიოდისათვის კვერცხების 95%-ში კარგად ჩანს წყვილი მოძრავი მუქი ყავისფერი ყბა (სურ.3,ა) და პასიურად მოძრავი სამი წყვილი ფეხი (სურ. 3,ბ).



სურ.3. დიდი ციკინათელას კვერცხებში ემბრიონის განვითარება დღეების მიხედვით. ა,ბ-16 დღის; გ,დ-41 დღის.

ემბრიონული განვითარება 17°C-ის პირობებში 40 დღეს გრძელდება. მატლების ინტენსიური გამოსვლა პირველი მატლის გამოჩენიდან მე-3-4 დღეს აღინიშნა; ეს პროცესი

მე-6 დღემდე გრძელდებოდა. ახლად გამოჩეკილი მატლები თეთრი ფერისაა. პირველ დღეს თითქმის არ გადაადგილდებიან. მეორე დღეს მონაცრისფრო, ხოლო მესამე დღეს მუქ ფერს იღებენ და აქტიურად იწყებენ მოძრაობას.

ორდღიანი მატლების საშუალო ($n=10$) სიგრძე 2,8 მმ-ია, 10-დღიანის - 4,5 მმ; 16-დღიანის - 5,6 მმ, ე.ი. საშუალო მატებამ 5-6 დღეში 3 მმ შეადგინა.

პირველი ასაკის მატლები 19,5°C ტემპერატურის და ჰაერის 83,5% შეფარდებით ტენიანობის პირობებში, რომელთა სხეულის საშუალო ($n=11$) სიგრძე 6,1 მმ-ია, დაახლოებით 30 დღის შემდეგ მეორე ასაკში გადადიან. ყოველ კანის ცვლას წინ უსწრებს დიაპაუზა, რომლის ხანგრძლივობა მატლის ასაკის მიხედვით სხვადასხვაა. დიდი ასაკის მატლებში იგი დაახლოებით 5 დღეს უდრის.

კანის ცვლიდან 2-3 სთ-ის შემდეგ მატლი იწყებს ჭერ პასიურ, შემდეგ აქტიურ მოძრაობას და საკვების ძებნას. ახალ კანგამოცვილ მატლს მუქი ფერი აქვს, ხოლო კანგამოუცვლელს - ღია ნაცრისფერი.

მეორე ასაკის მატლის ზრდა-განვითარების ხანგრძლივობა 45 დღეს მოიცავს. ეს პერიოდი მატლების შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რადგან მატლების დიდი რაოდენობა გაუარკვეველი მიზეზების გამო მეორე ასაკში იხოცება. მატლების მხოლოდ მცირე რაოდენობა აღწევს ზრდასრულ ფორმას.

მესამე და მეოთხე ასაკის მატლების განვითარება თითო-თითო თვით შემოიფარგლება, ხოლო კანის ცვლის პროცესი 5-6 დღეს გრძელდება. მესამე კანის ცვლა აღსანიშნავია იმით, რომ ამ ასაკში მატლი ინტენსიურად ვითარდება. მისი საშუალო ($n=10$) სიგრძე 21,5 მმ-ია, მაქსიმალური სიდიდე კი - 37 მმ.

გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ ლაბორატორიულ პირობებში 20-21°C ტემპერატურაზე ციკინათელების გენერაცია 9 თვის განმავლობაში დასრულდა. მივიღეთ ზრდასრული ფორმების 40% მამალი და 60% დედალი. მამლებს 6 კანის ცვლა აღენიშნათ, ხოლო დედლების უმრავლესობას - 7.

პირველ წელს ციკინათელების გამრავლების შესწავლისას ზრდასრულ ფორმას მიაღწია ოცმა პროცენტმა. ამ შემთხვევაში სტაბილური არ იყო არც ტემპერატურა და არც ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა; ხოლო სტაბილური პირობების (22°C-სა და ჰაერის 93% შეფარდ. ტენიანობის) შემთხვევაში ზრდასრული ინდივიდების 38% იქნა მიღებული.

იმის გამო, რომ ციკინათელები ლაბორატორიულ პირობებში ძნელად მრავლდებიან, საჭიროა იმ ოპტიმალური პირობების დადგენა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მივიღოთ ციკინათელას მატლების მეტი რაოდენობა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
 ზოოლოგიის ინსტიტუტი

(შემოვიდა 15.9.1993)



О.А.Горгадзе, Э.Цхадая

К изучению биологии большого светляка (*Lampyris postilusa*) в Восточной Грузии с целью искусственного размножения

Резюме

При изучении различных естественных микростанций в Восточной Грузии (Мцхетский р-н) был выявлен один вид светлячка, который из литературы известен как большой светлячок.

Установлено, что в лабораторных условиях (при температуре 19°C-22°C) развитие светлячков продолжается 9 месяцев. В процессе развития самцы 6 раз, а самки 7 раз линяют. Из исходного количества светлячков I возраста удалось получить 38% половозрелых индивидов.

ENTOMOLOGY

O. Gorgadze, E. Tskhadaia

Investigation of Biology of the Big Firefly (*Lampyris Noctiluca*) in Eastern Georgia with a View of Artificial Reproduction

Summary

Investigation of various natural microstations in Eastern Georgia (Mtskheta region) has revealed one species of the firefly which is known from the literature as the big firefly.

It was established that under laboratory conditions (at 19°C-22°C) the development of firefly continues 9 months. In the course of their development males undergo 6 moults, while females - 7 moults.

Out of the initial number of fireflies of the same age as much as 38% of sexually mature individuals was obtained.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. ი. ჯამბაზიშვილი. საქართველოს ბუნება. III, 1986, 21.
2. Биологический энциклопедический словарь. Под ред. М.С. Гилярова. М., 1989, 560-561.
3. G. Newport. J. Innean. Soc. Zool. 1, London. 1857, 40-71.
4. R. Vogel. Z. Naturwiss Zool. N2, 291-422, Bd., 1915.
5. H.H. Schwalb. Zool. J. Abt f. System. Bd. 88, 1961, 306-551.
6. Э.Д. Давидова. Зоол. ж. XLV, 7, 1966, 1023-1032.
7. J. Naisse. C.R. Acad. Sci., 256, 3, 799-800, Paris, 1963.

ზ. ტაბიძე, ლ. ცინცაძე

ინტელექტუალური შრომით დაკავებულ ჯანმრთელ პირთა ჰემოკოაგულაციის მაჩვენებლები

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. ასათიანმა 17.11.1993)

ცოცხალი ორგანიზმებისათვის დამახასიათებელი ბიოლოგიური რიტმები ჰემოკოაგულაციის შესწავლისასაც ვლინდება. ჯანმრთელ პირთა შემდეგდებელი და ანტიშემდეგდებელი ფერმენტების აქტივობის დონე, თრომბოციტების რაოდენობა და მათი ფუნქციური მდგომარეობა ავლენენ დღელამურ და რიტმულ მერყეობებს [1-3].

საცხოვრებელი გარემო, კლიმატი, წელიწადის დრო უდავო გავლენას ახდენენ ჰემოსტაზის სისტემის მაჩვენებლებზე [1,4]. ჯანმრთელ დონორთა ჰემოკოაგულაციაზე გავლენას ახდენს მათი პროფესია, სამუშაოს ხასიათი [1,5].

საქართველოს ჯანმრთელი მოსახლეობის ჰემოკოაგულაციის მაჩვენებლებს ნორმის დადგენის მიზნით, ფიქრობთ, აუცილებელია სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებში ჰემოსტაზის სისტემის შესწავლა და ამ მონაცემების ურთიერთშედარება. გამოსაკვლევი ცალკეული ჯგუფები ერთგვაროვანი უნდა იყვნენ საცხოვრებელი რეგიონისა და საქმიანობის მიხედვით. ამასთან, საინტერესოა სხვადასხვა წლებში შესწავლილი ჯანმრთელი მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების მონაცემების ურთიერთშედარება.

ჩვენ შევისწავლეთ ქ.თბილისის ჯანმრთელი მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ჰემოკოაგულაციის მაჩვენებლები და შევადარეთ ისინი ქ.ბათუმის ჯანმრთელი მოსახლეობის ჯგუფის მონაცემებს. ძირითადად გამოვიკვლიეთ ქართველი სტუდენტები და მოსამსახურეები, დაკავებულნი ინტელექტუალური შრომით. ქ.თბილისში გამოკვლევები ჩატარებულია სამ ეტაპად: I ჯგუფში შევიდა 1974-1976 წლებში ჩვენ მიერ გამოკვლეული 28 სტუდენტი და მოსამსახურე [6]; II ჯგუფში - 1985-1989 წწ. შესწავლილი ასეთივე კონტინგენტის 60 ჯანმრთელი პირი [7], III ჯგუფი შეადგინა 1992-1993 წლებში გამოკვლეულმა 26 თბილისელმა სტუდენტმა და მოსამსახურემ; IV ჯგუფი შეადგინა 1992-1993 წლებში ქ.ბათუმში შესწავლილმა 24 ჯანმრთელმა სტუდენტმა და მოსამსახურემ, დაკავებულმა გონებრივი შრომით. ოთხივე ჯგუფში შევიდნენ 20-დან 45 წლამდე ასაკის პირები.

ჰემოკოაგულაციას ვიკვლევდით თანამედროვე ბიოქიმიური სინჯარული მეთოდებით: სისხლის შედედების დროს წამებში - ლისა და უაიტის მეთოდით, პლაზმის რეკალციფიკაციის დროს (წმ) ბერგერჰოფის და როკას, თრომბოციტების ხარისხს ფუნტე-იტას მეთოდით, ფიბრინოგენის კონცენტრაციას (გ/ლ) რ.რუტბერგის, პროთრომბინის ინდექსს (%) ჭვიკის, პროთრომბინის მოხმარებას (წმ) მ.მაჩაბლის, კოლტის რეტრაქციას მაკფარლანის, პლაზმის ტოლერანტობას ჰეპარინისადმი (წმ) სიგის მეთოდით, B-ფიბრინოგენის კომაინისა და ლიონისის; თრომბინისა (წმ) და ჰეპარინის დროს (წმ) ე.სირმას, ფიბრინოლიზურ აქტივობას (%) მ.კოტოვშიკოვასა და ბ.უზნიკის მეთოდით. ქ.თბილისის მოსახლეობაში 1985-1989 და 1992-1993 წლებში ფიბრინოლიზური აქტივობა შევისწავლეთ ეუგლობულიზური

კოლტის ლიზისის დროს (წთ) მიხედვითაც ე.კოვალსკის მეთოდით. თრომბოციტების ადჰეზივობას ვსაზღვრავდით ვ.ბალუდას მიერ მოდიფიცირებული რაიტის მეთოდით. მიღებული მონაცემები დავამუშავეთ ვარიაციული სტატისტიკის მეთოდით. გამოკვლევის შედეგები წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი
ინტელექტუალური შრომით დაკავებული თბილისისა და ბათუმის ჯანმრთელი მოსახლეობის ზოგიერთი ცალკეული ჯგუფის ჰემოკოაგულაციის მაჩვენებლები (M±m)

№	მაჩვენებელი	თბილისის ჯანმრთელი მოსახლეობა			ბათუმის ჯანმრთელი მოსახლეობა
		1974-1976 წწ. n=28	1985-1989 წწ. n=60	1992-1993 წწ. n=26	1992-1993 წწ. n=24
1.	სისხლის შედღებების დრო (წმ)	442,1±23,9	413,3±13,3	458,5±16,2	440,3±19,1
2.	პლაზმის რეკალციფიკა- ციის დრო (წმ)	107,0±3,0	109,3±1,6	106,8±1,1	105,1±1,7
3.	თრომბოციტის ხარისხი	3,5±0,1	3,6±0,1	5,6±0,1*	3,4±0,2
4.	ფიბრინოგენის კონცენტრაცია (გ/ლ)	2,45±0,07	2,74±0,07	3,2±0,2*	2,66±0,04
5.	პროთრომბინის ინდექსი (%)	82,7±1,9	77,9±0,97	87,3±1,0*	74,7±0,7*
6.	პროთრომბინის მოხმარება (წმ)	35,4±0,7	33,8±0,5	46,9±0,5*	35,6±0,8
7.	სისხლის კოლ- ტის რეტრაქცია (%)	52,4±1,3	51,7±0,8	52,1±1,1	53,6±1,1
8.	თრომბინის დრო (წმ)	33,1±0,7	32,1±0,4	28,8±0,4*	36,9±0,9*
9.	ჰეპარინის დრო (წმ)	7,5±0,4	8,4±0,3	8,8±0,6	6,1±0,4
10.	პლაზმის ტო- ლერანტობა ჰეპარინისადმი (წმ)	467,7±18,1	435,4±1,0	332,4±10,8*	426,0±6,3
11.	ფიბრინოლი- ზური აქტივობა (%)	12,1±0,5	11,97±0,5	8,9±0,3*	12,9±0,4
12.	ეუგლობული- ნური კოლტის ლიზისის დრო (წთ)	-	246,5±5,8	319,5±5,6*	-
13.	თრომბოციტე- ბის ადჰეზივობა (%)	26,8±0,6	25,3±0,3	29,5±0,5*	-

*ვარსკვლავით აღნიშნულია სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა სხვა წლების შესაბამის მაჩვენებლებთან



ჰემოკოაგულაციის მაჩვენებლები 1974-1976 წწ. და 1985-1989 წწ. გამოკვლევულ თბილისელებში პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ლიტერატურულ ნორმებთან [8,9] შედარებისას ორივე ჯგუფში აღინიშნებოდა ნორმოკოაგულემია. თითოეული მაჩვენებლის მერყეობის ფარგლებიც დიდი არ იყო.

მათგან საგრძნობლად განსხვავდებოდა 1992-1993 წლებში შესწავლილი თბილისელების ჰემოკოაგულაცია. მართალია, ეს მაჩვენებლები პრაქტიკულად თავსდებოდა ლიტერატურულ ნორმებში [8,9], მაგრამ I და II ჯგუფთან შედარებისას ავლენდნენ გამოხატულ ჰიპერკოაგულემიას. I და II ჯგუფის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით სტატისტიკურად სარწმუნო იყო თრომბოციტის ხარისხის და ფიბრინოგენის კონცენტრაციის მომატება, პროთრომბინის მაღალი ინდექსი, პროთრომბინის მოხმარების გაძლიერება, პლაზმის მომატებული ტოლერანტობა ჰეპარინისადმი, თრომბოციტების ადჰეზივობის ფუნქციის გაძლიერება. აღნიშნული მონაცემები მიუთითებდნენ შემდეგდებელი ფაქტორების გააქტივებაზე.

ანტიშემდეგდებელი სისტემის აქტივობის დაქვეითებაზე სტატისტიკურად სარწმუნოდ მეტყველებდნენ თრომბინის დროის შემოკლება და ფიბრინოლიზის დათრგუნვა, გამოვლენილი, როგორც მ.კოტოვშიკოვასა და ბ.კუზნიკის მეთოდით, ისე განსაკუთრებით - ეულგობულინური კოლტის ლიზისის დროის გახანგრძლივებით.

სადღეისოდ, მრავალი ავტორი მიიჩნევს, რომ ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარეობს პერმანენტული სისხლმილშიდა შედეგება [10], რაც სისხლმილშიდა მიკროშედგებად ფასდება [11] და ჩვეულებრივი ლაბორატორიული მეთოდებით ვერ დგინდება [11]. მულმივი ფიბრინწარმოქმნა სისხლძარღვებში ნორმალური მოვლენაა, ხოლო წარმოქმნილი ფიბრინის უტილიზაცია ხდება სისხლძარღვის კედლის მშენებარე პროცესებში. ამასთანავე, წარმოქმნილი ფიბრინი განიცდის ლიზისის სისხლძარღვთა ინტიმის ფიბრინოლიზური ფერმენტებით და ფაგოციტირებას - ლეიკოციტებით. გარკვეულ პირობებში, მაგალითად ფსიქოემოციური სტრესის, გადაძაბვების დროს ხდება ფიბრინოლიზური სისტემის თანდათანობით გამოფიტვა ან მისი აქტივობის დაქვეითება [12]. ასეთ დროს შეიძლება ორგანიზმში მულმივად არსებული ფიბრინწარმოქმნა უფრო გამოკვეთილად გამოვლინდეს ჩვეულებრივი ლაბორატორიული გამოკვლევებისას. განხილული III ჯგუფი წარმოადგენდა 1992-1993 წლებში გამოკვლეულ თბილისელ მოსახლეობას და არ არის გამორიცხული, რომ შემდეგდებელ ფერმენტთა გააქტივება და ანტიშემდეგდებელ ფერმენტთა აქტივობის დაქვეითება (თრომბინის დროის შემოკლება, დაქვეითებული ფიბრინოლიზი) გამოწვეული იყოს იმ ხანგრძლივი ფსიქოემოციური სტრესით, რასაც უდავოდ განიცდიდა თბილისის მოსახლეობა 1992-1993 წლებში.

საინტერესოა, რომ ქ.ბათუმის მოსახლეობის შესწავლილ ჯგუფში ჰემოკოაგულაციის მონაცემები პრაქტიკულად არ განსხვავდებოდნენ ქ.თბილისის I და II ჯგუფისაგან, მხოლოდ, მათთან შედარებით დაბალი იყო პროთრომბინის ინდექსი და გახანგრძლივებული - თრომბინის დრო. B ფიბრინოგენი არცერთ ამ ოთხ ჯგუფში არ გამოვლენილა. მიუხედავად I, II, და IV ჯგუფებს შორის დიდი გეოგრაფიული, კლიმატური, ყოფითი და დროითი სხვაობისა მათი მონაცემები ბაცილებით უფრო ახლოს იდგნენ ერთმანეთთან, ვიდრე 1992-1993 წლებში

თბილისელი მოსახლეობის ჰემოკოაგულაციის მაჩვენებლები. საყურადღებოა ისიც, რომ თბილისის მოსახლეობის ჰემოკოაგულაციის ნორმები 1974-1976 და 1985-1989 წლებში, ე.ი. 11-15 წლის ინტერვალში ფაქტობრივ ერთნაირი იყო, ხოლო 1985-1989 წლების შემდეგ, უკვე 1992-1993 წლებში სტატისტიკურად სარწმუნოდ განსხვავდებოდა წინა წლების ნორმებისაგან (თუმცა ზოგადად ლიტერატურული ნორმებიდან მნიშვნელოვან გადახრას აღვილი არ ჰქონია).

ამგვარად, 1974-1976 და 1985-1989 წლებში ქ.თბილისში და 1992-1993 წლებში ქ.ბათუმის ჯანმრთელ, გონებრივი შრომით დასაქმებულ მოსახლეობაში ჰემოკოაგულაციის მაჩვენებლები პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, მიუხედავად ამ ჯგუფებს შორის დიდი გეოგრაფიული, კლიმატური, ყოფითი და დროითი სხვაობისა. მაშინ, როცა იმავე თბილისის მოსახლეობაში 1992-1993 წლებში წინა წლებთან შედარებით ნორმების შეცვლა გამოვლინდა. I, II და IV ჯგუფებთან მათი შედარებისას გამოიკვეთა გარკვეული ჰიპერკოაგულემიური ძვრა ფიბრინოლიზის დაქვეითებით, თუმცა ლიტერატურული ნორმების მიხედვით III ჯგუფის მონაცემებიც ნორმოკოაგულემიად უნდა შეფასდეს. ასეთი განსხვავება წინა წლებთან შედარებით შესაძლოა გამოწვეული იყოს 1992-1993 წლებში თბილისის მოსახლეობის ხანგრძლივი სტრესული მდგომარეობით.

მიღებული შედეგები გვაფიქრებინებს, რომ სამეცნიერო და პრაქტიკული კვლევის სიზუსტის გაუმჯობესების მიზნით ჰემოკოაგულაციის მაჩვენებლების ნორმები ყოველ 3-4 წელიწადში უნდა იქნეს გადამოწმებული, განსაკუთრებით გარემო პირობების მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და დიდი სოციალური ძვრების დროს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
 უნივერსიტეტი

(შემოვიდა 27.01.1994)

ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА

З.Ш.Табидзе, Л.А.Цинцадзе

Показатели гемокоагуляции здоровых лиц, занятых умственным трудом

Резюме

Исследованы показатели гемокоагуляции здоровых лиц, занятых умственным трудом. Показатели гемокоагуляции изученных групп здорового населения Тбилиси в 1974-1976, 1985-1989 гг. и Батуми в 1992-1993 гг. были практически одинаковы. По сравнению с ними, в 1992-1993 гг. у группы здоровых лиц Тбилиси выявлена некоторая склонность к гиперкоагулемии, однако уступающая в литературные нормы.

Выявленные в 1992-1993 гг. у группы здорового населения Тбилиси повышение адгезивности тромбоцитов, концентрации фибриногена, протромбинового индекса, усиленное потребление протромбина и снижение фибринолитической активности, по сравнению с исследованиями прошлых лет, могут быть следствием длительного стресса, вызванного психосоциальным перенапряжением жителей г. Тбилиси в 1992-1993 гг.

Z.Tabidze, L.Tsintsadze

Hemocoagulation Values in Healthy Persons Busy in Mental Work

Summary

Hemocoagulation values of separate groups of healthy population in Tbilisi in 1974-1976, 1985-1989 and in Batumi in 1992-1993 are practically the same. In comparison with these values in 1992-1993 in Tbilisi healthy group some turn for hypercoagulation was revealed, though it was within the literary standards. The persons of mental work have been investigated.

The increase of thrombocytes adhesion, fibrinogen concentration, prothrombin index, prothrombin consumption and decreased fibrinolytic activity revealed in group of Tbilisi healthy population as compared to the past years investigations may be the result of prolonged stress, caused by psychosocial overstrain of Tbilisi population in 1992-1993 years.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. *J.P.Blum. Vie med.*, 65, 11/12, 1984, 435-440.
2. *R.D'angelo, C.Albanese, G.M.Rocchini. G.Geront.*, 35, 8, 1987, 624-625.
3. *C.Kluft, A.F.H.Jie, D.C.Rijken. Thrombos. Haemostasis.* 59, 2, 1988, 329-332.
4. *В.П.Мищенко, И.Н.Звягольская, С.И.Сорокина. Гематол. и трансфузиол.*, 8, 1986, 43-46.
5. *В.И.Припутницкий. Лабор. дело*, 2, 1973, 96-98.
6. *З.Ш.Табидзе. Автореф. канд. дисс. Тбилиси*, 1978.
7. *З.Ш.Табидзе. Автореф. докт. дисс. Тбилиси*, 1991.
8. *Лабораторные методы исследования в клинике*, М., 1987.
9. *З.С.Баркаган. В кн.: Руководство по гематологии*, т.2. М., 1985, 160-188.
10. *Д.М.Зубаиров. Казанский мед. журн.*, I, 1976, 62-67.
11. *D.G.McKay. Proceedings of the Institute of Medicine of Chicago*, N 29, 1972, 86-98.
12. *Г.В.Андреев. Фибринолиз*. М., 1979, 351.

УДК 615.835+616-006

ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА

И.Ш. Надирадзе, И.К. Дидебулидзе, Т.Г. Туразашвили

Перспективы аэроионотерапии в клинической онкологии

(Представлено членом-корреспондентом Академии Т.И. Деканосидзе 6.04.1993)

Казалось бы адекватная, с точки зрения качества, дозы, пути и режима введения препарата, но все же недостаточно эффективная в ряде случаев гепаринотерапия, даже дополненная антиагрегантами, а также относительно высокая стоимость гепарина, необходимость при применении больших его доз тщательного лабораторного контроля и опасность использования антикоагулянта при неуверенности в отсутствии зияющего кровоточащего сосуда побуждают к поискам новых путей и методов профилактики и лечения тромбогеморрагических осложнений у онкологических больных.


В этом плане большой интерес представляет так называемая электроэфлювиальная „люстра Чижевского“, позволяющая ионизировать кислород воздуха отрицательным зарядом, целебные свойства которого к настоящему времени не должны вызывать сомнений. В этой связи следует в первую очередь знать, что гепарин, являющийся универсальным регулятором тканевого обмена, прерывает цепь патологических тромбогеморрагических реакций в самом начале, препятствует прогрессированию „расслоения“ тканей и способствует их купированию именно благодаря своему отрицательному заряду, легко отдаваемому карбоксильной и SO_3^- группами. Причем лучшим, чем гепарин, антитромбином, осуществляющим внутренний органический электрообмен, медицина пока не обладает; не может заменить известный стандартный препарат и низкомолекулярный гепарин, способный проникать сквозь кожу, который вместе с уменьшением молекулярного веса теряет отрицательный заряд и антитромбиновые свойства.

Аэроионификация с использованием „люстры Чижевского“ позволяет осуществлять внешний электрообмен [1], следствием чего является медленное естественное восстановление утраченного организмом отрицательного потенциала. Вспышка принесенного кислородом отрицательного заряда – каталитическая реакция, которая, по нашей гипотезе, разыгрывается в непрерывно перемещающемся в альвеолах сурфактанте, в его углеводной, мукополисахаридной, обогатщенной протеогликанами решетчатой гипофазе, прилегающей к подвижным мембранам альвеол; после биокаталитической вспышки в альвеолярном сурфактанте отрицательные ионы разносятся кровью по тканям, что сопровождается вспышками отрицательной полярности при встрече с сурфактантом других структур и органов [2]. Интересно отметить в

этой связи, что гемоглобин является не только переносчиком кислорода, но и одних электронов в глобиновой цепи [3]. Это раскрывает причину благоприятного действия гепарина, лишённого кислорода, на внутренний органический электрообмен. Глобин — шарик простого белка типа альбумина, придающий гемму способность связываться с кислородом и, по нашему мнению, осуществляющий электрообмен в тканях, в состав которых он входит.

Глубокий анализ большого фактического материала А.А. Чижевского и данных зарубежной литературы о природе и значении сурфактанта позволил М.С. Мачабели предложить новую, современную формулировку тромбгеморрагического синдрома (ТГС): „Это симптомокомплекс, сопровождающий патологию и экстремальные воздействия на живые системы, обусловленный универсальным и неспецифическим свойством белков, жиров и углеводов, клеток и тканей обратимо и необратимо сгущаться, вследствие падения отрицательного заряда, затем расслаиваться на компоненты различной плотности и растворяться...“, причем берет он начало с „нарушения внешнего и внутреннего (организменного) электрообмена, местного и генерализованного, заключающегося в потере отрицательного заряда прежде всего в сурфактанте, в его протеогликановой фазе, а потом и других структурах, в клетках и тканях организма“ [4].

Нами разработана новая схема аэроионизатора („люстры Чижевского“) и на ее основе создан аппарат, отвечающий всем технико-биологическим требованиям, предъявляемым к подобного рода электроконструкциям. Люстра представляет собой импульсный высоковольтный блок с излучателем, подвешиваемый к потолку. Концентрация отрицательных ионов (частиц), создаваемая аэроионизатором, — до $20\,000$ в см^3 воздуха (рис.).



Предварительные результаты клинической апробации подтверждают несомненную перспективность метода: по сравнению с аналогичным контингентом гепаринизированных больных, не получивших аэроионотерапии, степень выраженности тромбгеморрагических осложнений, особенно легочных (бронхопневмоний), у больных, находившихся в насыщенном отрицательными аэроионами микроклимате, созданном электроэффлювиальной „люстрой Чижевского“, оказалась гораздо ниже; соответственно значительно укорачивались (на 4-6 суток) сроки их купирования и уменьшались затраты гепарина на патогенетическую терапию.

С учетом особенностей механизма воздействия на организм аэроионизации, из вышесказанного следует, что „люстру Чижевского“



с успехом можно использовать не только с лечебной целью (в первую очередь для повышения эффективности гепаринотерапии), т.е. при сформировавшемся, манифестирующем, принимающем острое течение ТГС, но и для профилактики последнего как у оперированных больных, непосредственно после хирургического вмешательства до возможного развития тромбогеморрагических осложнений, так и у пациентов, находящихся на химиотерапевтическом лечении или получающих лучевую терапию. Причем профилактическое применение аэроионификации, по нашему мнению, может быть и самостоятельным, без дополнения ею гепаринизации.

Онкологический научный центр
МЗ и СО Грузии

(Поступило 15.04.1993)

მეცნიერების ცენტრი

ი.ნადირაძე, ი.დიდებულძე, თ.ტურაზაშვილი

აეროიონოთერაპიის პერსპექტივები კლინიკურ ონკოლოგიაში

რეზიუმე

შემუშავებული და აპრობირებულია აეროიონიზატორის ახალი სქემა („ჩიევესკის ქალი“), რომელიც წარმოადგენს იმპულსურ მაღალვოლტიან ბლოკს გამომასხივებლით და ჰქმნის უარყოფითი იონების ოპტიმალურ კონცენტრაციას პაერში – 20 000-მდე სმ⁻³-ში.

იმ ჰეპარინიზებულ ავადმყოფებთან შედარებით, რომლებსაც არ ჰქონდათ ჩატარებული აეროიონოთერაპია, თრომბოპემორაგიული გართულებების ხარისხი, განსაკუთრებით ფილტვის (ბრონქოპნევმონიები), უარყოფითი აეროიონებით გაჭერებულ მიკროკლიმატში მოთავსებულ ავადმყოფებს აღმოაჩნდათ მცირე; შესაბამისად მნიშვნელოვნად დამოკლდა გართულებების კუპირების ვადა (4-6 დღით) და შემცირდა პათოგენეზურ თერაპიაზე დახარჯული ჰეპარინის რაოდენობა.

EXPERIMENTAL MEDICINE

I.Nadiradze, I.Didebulidze, T.Turazashvili

Perspectives of Aeroionotherapy in Clinical Oncology

Summary

The new scheme of aeroionization is worked out and approved ("Chijevsky chandelier"); it represents impulsive highvolt block with radiator and creates optimum concentration of negative ions about 20 000 per cm³.

In comparison with heparinised patients who were not subjected to ionotherapy degree of intensity of thrombohemorrhagic complications here was less, especially in the case of bronchopneumony. Accordingly the time of their recovery was significantly reduced (4-6 days). The amount of heparin used for therapy was reduced too.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

საქართველოს
საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა
აкадеმიის გამომცემი

1. *А.Л. Чижевский*. Земля во вселенной. М., 1964, 342-372, 422-442.
2. *И.Ш. Надирадзе, М.С. Мачабели*. Успехи физиологических наук АН СССР, **20**, 4, 1989, 94-109.
3. *T. Brittain*. Chem.N.Z., **50**, 2, 1986, 33-35.
4. *М.С. Мачабели*. Матер. Всесоюз. конф. „Физиология и патология гемостаза“. Полтава, 1991, 206-207.

ჭ. აფაქიძე

ძველკოლხური სახლმშენებლობის ზოგიერთი საკითხი

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ო. ჯაფარიძემ 25.6.1993)

ადრებრინჯაოს ხანიდან მოყოლებული კოლხეთში საცხოვრებელ თუ სხვა სახის ნაგებობებს ხის მასალისაგან აშენებდნენ. ადგილობრივი კლიმატის პირობებში ხის ნაგებობები მეტად პრაქტიკული იყო. როგორც ცნობილია, ხე კარგად იტანს სინესტეს და ხელს უშლის შენობის შიგნით მის შემოდქვას, ხითხურობის განვითარებას ასევე ხელს უწყობდა ტყეების სიმდიდრე კოლხეთში. სამშენებლო მასალად გამოიყენებოდა მუხა და წაბლი. ასევე ხმარობდნენ ბზას, წიფელს, თხმელას, რცხილას, წყავსა და იფანს (კობიტს) [1-3].

კოლხეთის დაბლობში ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში გავრცელებული ყოფილა ძელებისა („ჯარგალი“) და წნულეებისაგან („ფაცხა“) ნაშენები სახლები. ამას ადასტურებს აღნიშნული ხანის ნამოსახლარებზე ძელებისა და წნულეებისაგან ნაგები შენობების ნაშთები. ხის ნაგებობები ბათქაშით ყოფილა შელესილი, რომლებზეც ხანძრის შემდეგ ხშირად რჩებოდა ძელებისა და წნულეების ანაბეჭდები. ხის ანაბეჭდიანი ბათქაშები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ოჩხოშურისა და „ნაწისქვილარის“ საწარმო-ნამოსახლარებზე [4]. ძელის ანაბეჭდი შერჩენილია ნოსირის ნამოსახლარი ბორცვის II ფენაში აღმოჩენილ ერთ-ერთ ბათქაშზე [1], წნულის ანაბეჭდიანი ბათქაშები გვხვდება დათეშიძის გორაზე [5] და სხვა.

ძველი კოლხეთის სამშენებლო ტექნიკისა და კონსტრუქციის საკითხების განხილვისას ხშირად მიმართავენ ძვ.წ. I საუკუნის რომაელი ავტორის ვიტრუვიუსის ნაშრომს „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“ [6], ვიტრუვიუსის თანახმად, კოლხები აშენებდნენ ძელებისაგან ნაგებ სწორკუთხა სახლებს. ძელები ერთმანეთზე ეწყობოდა უსრული ქობით. მათ შორის რჩებოდა სივრცე, რომელიც ფათხებითა და თიხით ივსებოდა. ძელების ერთმანეთზე ასეთ დაწყობას ავტორი უსრულ ქობას უწოდებს. ნაგებობა ზევითკენ თანდათან ვიწროვდებოდა, ხოლო სახურავს პირამიდისებური ფორმა ჰქონდა [6]. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვიტრუვიუსის მიერ აღწერილი „კოლხური სახლი“ არის არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი სახეობა ძველ კოლხეთში არსებული ნაგებობებისა.

ვიტრუვიუსის აღწერაზე დაყრდნობით „კოლხური სახლის“ აღდგენის ცდა მოცემული აქვთ ჯოკონდოს, ო. შუაზის, ლ. სუმბაძეს, დ. მშვენიერაძეს, ვ. გაგომიძესა და გ. ლეჟავას.

ვიტრუვიუსის ნაშრომის ტექსტის ზუსტი დაცვით „კოლხური სახლის“ რეკონსტრუქცია ეკუთვნის გ. ლეჟავას. როგორც ჩანს, ეს ნაგებობა რამდენიმე სართულისაგან შედგებოდა და ერთდროულად ასრულებდა როგორც საცხოვრებელ, ისე თავდაცვით ფუნქციას. ნაგებობაში შესასვლელი მიწის ზედაპირიდან რამდენიმე მეტრით მაღლა მდებარეობდა და მასში შესვლა შეიძლებოდა მხოლოდ კიბის საშუალებით. ამასთან, თუ გავიხსენებთ ძვ.წ. V საუკუნის ბერძენი ავტორის ქსენოფონტეს მიერ არაერთხელ ნახსენებ კოლხური ხის კომპებს [7], გ. ლეჟავას

რეკონსტრუქცია სრულიად დამაჯერებელი მოჩანს. ძველ კოლხეთში ხის კოშკების არსებობას ადასტურებს ასევე ოქროს საკიდი (ძვ.წ. I ათასწლეულის მიჯნა), რომელიც აღმოჩენილია სვანეთის თემში, სოფ. ხაიშში. ეს საკიდი განასახიერებს ხის მსხვილი მორებისაგან სრული ჯდობით ნაგებ კოლხურ კოშკს [8].

კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ნაგებობების ნაშთები ძირითადად ხელოვნურ ნამოსახლარ ბორცვებზეა შემორჩენილი, თუმცა სხვა ტიპის ნამოსახლარებზეც (გაშლილი, ღია ტიპის ნამოსახლარები, საწარმო-ნამოსახლარები) არცთუ ისე იშვიათად იჩენენ თავს.

ქსენოფონტეს „ანაბასისში“ მოცემული ცნობების ანალიზის შედეგად გ. ლეჟავა ხელოვნურ ნამოსახლარ ბორცვებზე გამოყოფს ნაგებობების სამ ძირითად ტიპს: 1. სწორკუთხა ან უჯრედისებური ფორმის ერთთახიანი ძელებისაგან ნაგები ორფერდა სახურავით გადახურული შენობები; 2. ძელებისაგან ნაგები კოშკისებური ფორმის სახლები; 3. წნულებისაგან ნაშენები მრგვალი ან სწორკუთხა „ფაცხის“ ტიპის ნაგებობები [9]. პირველი ტიპის ნაგებობები წარმოადგენენ საცხოვრებელ სახლებს, მეორე ტიპის – როგორც საცხოვრებელ, ისე თავდაცვით ნაგებობებს, მესამე ტიპის კი – სამეურნეო ნაგებობებს.

ძველი ნაგებობების ნაშთები კოლხეთში ბევრგანაა მიკვლეული. ასე მაგალითად, ძელებისაგან ნაგები სწორკუთხა შენობის ნაშთები აღმოჩენილია ნოსირის ბორცვზე [1], ცხრაოთახიანი ძელური სახლის ნაშთები – ნამკედურის ბორცვზე [2], ნაოხვამუს ძელურ ნაგებობას კვერცხისებური ფორმა აქვს [10], ღიბა-გუძუბა I წარმოადგენდა რვაკუთხა შენობას, რომლის დანიშნულების დადგენა შეუძლებელი აღმოჩნდა [10]. ტამიშის ნამოსახლარზე აღმოჩენილია სწორკუთხა ფორმის ნაგებობები და მრგვალი ფორმის ხუთი მეტრი დიამეტრიანი ნახევრადმიწურები [11]. ეს აღმოჩენები იმაზე მიუთითებენ, რომ ვიტრუვიუსის „კოლხური სახლი“ არ იყო ძველკოლხური სახლების ერთადერთი მოდელი და, რომ აქ გავრცელებული ყოფილა სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების ნაგებობები. ხელოვნურ ნამოსახლარ ბორცვებზე გამოვლენილი ნაგებობები მრავალფეროვნებით ხასიათდებიან როგორც ტიპოლოგიურად, ისე ფუნქციონალურად. ასე რომ, არქეოლოგიური მონაცემები მხარს უჭერენ გ. ლეჟავას თეორიულ მოსაზრებებს.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნოსირის ბორცვის სწორკუთხა ძელურ ნაგებობას კოჭისებური ან წაგრძელებულთალოვანი გადახურვა უნდა ჰქონოდა [12], ნაოხვამუს მრგვალ ნაგებობას – კონუსისებური სახურავი და წნული კარკასი [10].

ცხადია, ძველი კოლხური სახლების გადახურვაზე უშუალო მამტკიცებელი მონაცემების გარეშე მსჯელობა ერთობ ძნელია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვიტრუვიუსის აღწერით, კოლხურ სახლებს კონუსისებური ან პირამიდისებური სახურავები ჰქონდათ. არქიტექტორ ლ. სუმბაძის აზრით, სწორედ ეს ელემენტი არის ვიტრუვიუსის „კოლხური სახლის“ სამშენებლო ტექნიკის მთავარი მიღწევა [13]. ხაიშში აღმოჩენილი საკიდის მიხედვით კი კოლხეთში, როგორც ჩანს, გამოყენებანი ყოფილა ორფერდა სახურავებიც.

როგორც ვხედავთ, ძველ კოლხეთში სახლების გადახურვის სხვადასხვა ტიპი (კონუსისებური, პირამიდისებური, კოჭისებური, წაგრძელებულ-თალოვანი, ორფერდა) არსებულა. ნაგებობების კედლებსაც სხვადასხვა ტექნიკით აშენებდნენ (ძელების სრული ან უსრული ჯდობით). სამშენებლო მასალად გამოიყენებოდა სხვადასხვა ჯიშის ხე, რომლითაც კოლხეთი ძალზე მდიდარი იყო. ყველა ეს მონაცემი



მიუთითებს ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში კოლხეთში მალალგანვითარებული და დახვეწილი სამშენებლო ტექნიკის არსებობაზე.

ივ.ჭავჭავაძის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოხუმის ფილიალი

(შემოვიდა 30.06.1993)

АРХЕОЛОГИЯ

Д.Б. Апакидзе

Некоторые вопросы древнеколхского домостроительства

Резюме

На поселениях Колхиды эпохи бронзы и раннего железа обнаружены остатки срубных и плетневых построек — дома типа „Джаргвали“ и „пацха“. Срубные дома строили как с врубкой с остатком, так и без врубки. Строили прямоугольные и ячеечные одно- или многокомнатные срубные сооружения. Были распространены также бревенчатые дома башенного типа. Плетневые постройки имели угловатые очертания в плане. Постройки перекрывали конусообразным, пирамидообразным, балочным, продольно сводчатым и двускатным перекрытием. Строительным материалом, в основном, использовались дуб и каштан. Применялись также самшит, бук, ольха, граб, лавровишня и ясень.

Анализ археологических и исторических источников свидетельствует о существовании довольно развитой строительной техники в Колхиде в эпоху бронзы и раннего железа.

ARCHAEOLOGY

J. Apakidze

Some Questions of Ancient Colchian House-Building

Summary

Remnants of felled-tree and wattle structures have been discovered at Colchian sites of the Bronze and Early Iron Ages, representing respectively jargvali- and patskha-type dwellings. The logs of felled-tree dwellings might have both ends cut in to allow closely-fitting arrangement, or were laid one on another. Felled-tree structures of one or many rooms were rectangular or cell-like in shape. Tower-type log-dwellings also occurred. Wattle structures were of angular outline in plan. The dwellings had conical, pyramidal, beam, longitudinal arch and gable roofs. Chiefly oak and chestnut served as the building material. Boxwood, beech, alder, hornbeam, cherry-laurel and ash-tree were also used.

An analysis of archaeological and historical sources points to the existence of a fairly developed building technique in Colchis in the Bronze and Early Iron Ages.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. ე.გოგაძე. კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა. თბილისი, 1982.
2. *Т.К. Микеладзе, Д.А. Хахутаишвили.* Древнеколхидское поселение Намчедури. Тбилиси, 1985.
3. *В.Л. Менабде.* Сообщ. Груз. филиала АН СССР, №64, 1940.
4. *Д.Б. Апакидзе.* Центральная Колхида в эпоху поздней бронзы-раннего железа. Тбилиси, 1991.
5. *ლ.ჭიჭია.* ძეგლის მუგობარი, №46, 1977.
6. *Витрувий.* Десять книг об архитектуре (перевод Ф. Петровского), т. I, ВАА, 1936.
7. *თ. შიქელაძე.* ქსენოფონტეს „ანაბასისი“. თბილისი, 1967.
8. *М.И. Джавахиери.* ВДИ, №2, 1981.
9. *გ. ლეჟავა.* საქ. მეცნ. აკად. მაცნე, №3, 1972.
10. *Б.А. Куфтин.* Материалы к археологии Колхиды. Т. II. Тбилиси, 1950.
11. *А.Н. Габелия.* Автореф. канд. дисс. М., 1984.
12. *А.И. Джавахишвили.* Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V-III тыс. до н.э. Тбилиси, 1973.
13. *А.З. Сумбадзе.* Колхидское жилище по Витрувию. Тбилиси, 1960.

ნ.ძოწენიძე

წონისა და ფიზიკური ძალის აღმნიშვნელ ზედსართავ სახელთა მნიშვნელობისათვის ინგლისურ ენაში

(წარმოადგინა აკადემიკოსმა კ.წერეთელმა 23.2.1995)

ადამიანის გარეგნობის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელების კვლევისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო ზედსართავი სახელის მიერ გადმოცემული ნიშნის შეფარდებამ იმასთან, რასაც თანამედროვე ლინგვისტიკაში უწოდებენ „ნორმას“ ან „ათვლის წერტილს“ ([1], 35-40, [2], 18-23).

„წონის“ ნიშნის შემცველ ზედსართავ სახელებში ბუნებრივად უპირისპირდება ერთმანეთს ისეთი ორი ანტონიმური დაჯგუფება, რომლებიც „სიმსუქნისა“ და „სიგამბღრის“ ნიშან-თვისებებს გამოხატავენ და, შესაბამისად, „სიმსუქნისა“ და „სიგამბღრის“ სემანტიკურ კომპონენტებს შეიცავენ.

ასეთია, ერთი მხრივ: thin, haggard, bony, slim, slender და ა.შ., და მეორე მხრივ: fat, stout, round, fleshy, rotund, dumpy და ა.შ. ეს ზედსართავი სახელები შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც „მსუქანი-ნორმა-გამბღარი“ ანტონიმური რიგის კიდურა წევრები. ამ ანტონიმური რიგის ორივე მხარე თავის მხრივ სინონიმური რიგის ზედსართავებით არის წარმოდგენილი და თითოეული სინონიმური რიგი თავისებურ დამოკიდებულებას ავლენს მთქმელის აზროვნებაში არსებულ „ნორმასთან“. ამასთან, „ათვლის წერტილი“ ამ შემთხვევაში მიემართება არა ზოგადად „წონის“ ცნებისაკენ, არამედ მის ვიწრო სახესხვაობებს- „სიმსუქნეს“ ან „სიგამბღრეს“ ეხება.

„სიგამბღრის“ კომპონენტი ისეთი ზედსართავი სახელების სემანტიკური სტრუქტურის ბირთვია, როგორცაა: gaunt, haggard, bony, scrawny, thin, spare, meagre, scraggy, skinny, wiry.

დავიმოწმეთ ზოგიერთი ლეფინიცია განმარტებითი ლექსიკონებიდან: thin -2. having little fat on the body; not fat.

scrawny-derog (of people, animals, or parts of the body) without much flesh on the bones

skinny-derog (esp. of people) thin, without much flesh

spare - rather thin; lean [3].

„სიგამბღრე“ ერთ-ერთ კომპონენტად შედის შემდეგი ზედსართავი სახელების სემანტიკურ სტრუქტურებშიც: weedy, wizened, wispy, lanky, peaked, slender, slim, spindly, angular, spindle-legged, lank, willowy, slight, svelte.

ზემოთ დასახელებული ზედსართავი სახელების „ნორმასთან“ დამოკიდებულების მიხედვით ორი ურთიერთდაპირისპირებული ჯგუფი გამოიყოფა: ერთი მხრივ: slim, slender, petite, svelte და ა.შ. და, მეორე მხრივ: gaunt, bony, scrawny და ა.შ. პირველი ჯგუფის ზედსართავი სახელების სემანტიკურ სტრუქტურებში სიგამბღრის კომპონენტი ელემენტურობას, გრაციოზულობას, მოქნილობას უკავშირდება და, ბუნებრივია, დადებით ნიშნად აღიქმება. ნათქვამის საილუსტრაციოდ შემდეგი ტიპის

დეფინიციები გამოდგება: small in width or for the length or height; ...of small girth or thickness, ...of long narrow shape და ა.შ. როგორც ვხედავთ, მოყვანილი დეფინიციები ხაზს უსვამენ არა იმდენად სიგამზდრის, ნაკლები წონის არსებობას, რამდენადაც ადამიანის სხეულის ცალკეული ნაწილების თანაფარდობით შექმნილ სასიამოვნო გარეგნულ ეფექტს [4].

ზედსართავი სახელების მეორე ჯგუფი, gaunt, bony, scrawny, scraggy, skinny, emaciated ზედსართავი სახელებისაგან რომ შედგება, გამოხატავს სიგამზდრის ისეთ ხარისხს, რომელიც ათვლის წერტილად მიღებულ ნორმაზე მეტია და განაპირობებს მათს უარყოფით ემოციურ ეფექტს.

დასახელებული ზედსართავი სახელებით გადმოცემული ნიშანთვისების ინტენსივობის მარკერად გვევლინებიან დეფინიციებში შემდეგი ინტენსიფიკატორები: very, extremely, excessively, რომლებიც ლექსიკონის დეფინიციებში ყველაზე ხშირად thin ზედსართავ სახელთან, ხანდახან კი lean და spare ზედსართავებთანაც იხმარებიან, მაგ. excessively thin (ზედსართავისათვის scrawny [5]), very lean or thin (ზედსართავისათვის skinny [6]) და ა.შ. ასეთ დეფინიციებში thin, lean და spare ზედსართავი სახელების ხმარება იმაზე მეტყველებს, რომ ამ სამი ზედსართავი სახელით გამოხატული სიგამზდრე ყველაზე ახლოა „ნორმასთან“ და, მაშასადამე, მათი მნიშვნელობები ქმნიან იმ ფონს, საიდანაც ყოველგვარი გადახრა აღიქმება როგორც სიგამზდრის დადებითი ან უარყოფითი შეფასება, და მინც, ლექსიკონების მონაცემების მიხედვით, ამ სამი ზედსართავი სახელის მიერ გადმოცემული სიგამზდრის თვალსაზრისით ყველაზე ნეიტრალურია thin. იგი ლექსიკონებში უმეტესად განმარტებულია, როგორც having little flesh ან having less than the usual proportion of fat, ე.ი. ემოციური ელფერი არ ახლავს. იგივე შეიძლება ითქვას lean და spare ზედსართავი სახელების შესახებაც, თუმცა სამივე მათგანი-thin, lean, spare დადებითი ან უარყოფითი კონოტაციური შეფერილობის მატარებელიც შეიძლება იყოს.

„სიმსუქნის“ სემანტიკური კომპონენტი შემდეგი ზედსართავი სახელების სემანტიკური სტრუქტურების ბირთვია: round, gross, fleshy, thick, fat, stout, overweight, corpulent, full, bloated, obese. მაგ. a stout man, fat figure, thick lips, plump cheeks, fleshy thighs, bloated body, gross man და ა.შ. იგი rotund, squatty, podgy, tubby, dumpy, stocky, pudgy, squat, beefy, portly, chubby ზედსართავი სახელების მნიშვნელობების ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტიცაა.

Fat, fleshy, thick ზედსართავი სახელებით გამოხატული სიმსუქნე შედარებით ნეიტრალურია და ყველაზე ახლოს დგას „ნორმასთან“.

მათი მნიშვნელობები დადებით ან უარყოფით შეფერილობას იღებენ მხოლოდ კონტექსტის მიხედვით. სხვა ზედსართავ სახელებში სიმსუქნის თვისება ყოველთვის დაკავშირებულია ამ თვისების ინტენსივობის გარკვეულ ხარისხთან, მაგ. plump, full, buxom, chubby, round ზედსართავი სახელები გამოხატავენ ხორცსავსებობას, რომელიც მრგვალი, სავსე ფორმების ქონას გულისხმობს და დადებით ემოციებს იწვევს [3]. განმარტებით ლექსიკონებში ინტენსივობის ასეთი ხარისხის მაჩვენებლად გვევლინებიან ზმნიზედები somewhat, slightly, მაგ. plump განმარტებულია როგორც somewhat fleshy or fat [6], chubby-slightly fat [3] და ა.შ. ზოგი ზედსართავი სახელის დეფინიციებში პირდაპირაა მითითებული ამ ზედსართავი სახელით გადმოცემული ნიშნის დადებითი ან უარყოფითი შეფასება, მაგ. plump განმარტებულია როგორც attractively fat [7] ან pleasantly fat and rounded [4].

Corpulent, bloated, overweight, gross, obese ზედსართავი სახელები გამოხატავენ ზომაზე მეტ სიმსუქნეს, ისეთ ჭარბ წონას, რომლის გამოც ადამიანი ფორმას კარგავს, და რომელიც ხშირად რალაც დაავადების შედეგია. განმარტებით ლექსიკონებში თვისების ასეთი სიჭარბე ხშირად გადმოიცემა very, too, extremely ინტენსიფიკატორებით ან შემდეგი ტიპის სიტყვათშეთანხმებებით: exceeding the weight allowed or normal; weighing more than is considered normal, proper; having...excessive quantity of fat or flesh და ა.შ. ბუნებრივია, განხილული გვფუფის ზედსართავი სახელების მნიშვნელობებს თან ახლავს უარყოფითი ემოციური შეფასება.

ფიზიკური ძალის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელებიც ორ ანტონიმურ გვფუფად იყოფა. მაგალითად, ფიზიკურ ძალას გამოხატავენ strong, tough, forceful, powerful, vigorous, lusty, sound, sinewy, muscular და სხვა. ფიზიკური სისუსტე კი შემდეგი ზედსართავებით გადმოიცემა: weakly, delicate, feeble, weak, fragile, frail, slight, peaked. როგორც დიდი, ასევე მცირე ფიზიკური ძალის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელების მნიშვნელობებში ამ თვისებების გრადაციული ხასიათი ნაკლებადაა ნაჩვენები, ეს თავს იჩენს მხოლოდ strong-powerful, weak-feeble სინონიმურ წყვილებში, რომელთა მარჯვენა წევრები მარცხენასთან შედარებით მეტ ინტენსივობას გამოხატავენ.

საერთოდ, ფიზიკური ძალის პარამეტრის შემცველი ზედსართავი სახელების მნიშვნელობებში განსხვავებას ქმნის არა თვით ამ თვისების მეტი ან ნაკლები ინტენსივობა, არამედ მისი კომბინაციები სხვა სემანტიკურ კომპონენტებთან, მაგ. robust და strapping ზედსართავების მნიშვნელობებში დიდი ფიზიკური ძალა უთავსდება სიმადლისა და სიჭანსალის სემანტიკურკომპონენტებს, რაც საბოლოო ჯამში მის მნიშვნელობას strong ზედსართავი სახელის მნიშვნელობისაგან განსხვავებს. ამასვე ადასტურებს muscular, brawny, sinewy, athletic, burly, husky ზედსართავი სახელების სემანტიკური სტრუქტურების განხილვაც. მაგალითად: brawny-ს სემანტიკურ სტრუქტურაში დიდი ფიზიკური ძალის კომპონენტი დიდ ზომასა და კარგად განვითარებული კუნთების სისტემასაც გულისხმობს, sinewy კი, რომელიც ლექსიკონების მონაცემების თანახმად, ასეთსავე ფიზიკურ ძალას გამოხატავს, სისწრაფესა და ენერგიულობასაც მოიცავს. Athletic ზედსართავი სახელის მნიშვნელობაში, დიდი ფიზიკური ძალის გარდა, სხეულის პროპორციაც იგულისხმება.

ასეთივე სურათია იმ ზედსართავ სახელებშიც, რომლებიც არასაკმარის ფიზიკურ ძალას, სისუსტეს გამოხატავენ. მათი მნიშვნელობები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა სისუსტის ხარისხით, არამედ ამ სისუსტის გამოწვევი მიზეზით, რომლებიც აღნიშნული ზედსართავი სახელების სემანტიკურ სტრუქტურებში აისახება. მაგ. weak ზედსართავისაგან განსხვავებით, frail გამოხატავს ნაზ ფიზიკურ აგებულებას, weakly-ცუდ ჯანმრთელობას, feeble კი -უძლეურობით გამოწვეულ უმწეობას.

ამგვარად, ადამიანის წონისა და ფიზიკური ძალის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელებისათვის დამახასიათებელია როგორც ანტონიმური, ისე სინონიმური ურთიერთობები. ანტონიმურ ურთიერთობებს საფუძვლად უდევს ურთიერთსაპირისპირო ნიშნებისა და მათი შემცველი ზედსართავი სახელების ისეთი მიმართება „ნორმასთან“, რომელიც გამოირიცხავს ე.წ. „საშუალო წევრის“, ანუ ზუსტად, ნორმის შესაბამისი ნიშნის გამოხატველი ზედსართავი სახელის არსებობას. მეორე მხრივ, სინონიმურ მწკრივებში, რომლებიც დაპირისპირებული ნიშანთვისებების საპირისპირო პოლუსებს წარმოადგენენ, „საშუალო“ ან

„ნეიტრალური“ წევრის არსებობა გამორიცხული არ არის. „სიგამზდრისა“ და „სიმსუქნის“ კომპონენტების შემცველი ზედსართავი სახელები, რომლებიც წონის ნიშნის ანტონიმურად დაპირისპირებულ პოლუსებს ქმნიან, თავის მხრივ მწყობრ სინონიმურ რიგებს გვაძლევენ. ეს სინონიმური რიგები ხასიათდებიან გადმოცემული ნიშნის ინტენსივობის სხვადასხვა ხარისხითა და ემოციური ელფერით. ფიზიკური ძალის შემცველ ზედსართავ სახელებში ამ თვისების ინტენსივობა ნაკლებადაა გამოხატული. განსხვავებას ქმნის ფიზიკური ძალის კომბინაციები სხვა სემანტიკურ კომპონენტებთან.

ივ.ჭავჭავაძის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

(შემოვიდა 24.02.1995)

ЯЗЫКОЗНАНИЕ

Н.А.Дзотсенидзе

О значении прилагательных, обозначающих вес и физическую силу в английском языке

Резюме

Статья посвящена изучению особенностей синонимно-антонимических отношений в группах прилагательных, обозначающих вес и физическую силу человека. Как выясняется, синонимические группы прилагательных с семантическим компонентом веса проявляют разную степень передаваемого ими признака, разница же в значениях прилагательных с обозначением физической силы создается за счет разных комбинаций этого компонента с другими семантическими компонентами.

LINGUISTICS

N.Dzotsenidze

Synonymic-Antonymic Relationships Between the Adjectives Denoting Weight and Strength in the English Language

Summary

The article investigates the peculiarities of synonymic and antonymic relationships between the adjectives describing weight and physical strength as reflected in human appearance. As is stated, the synonymic groups of adjectives having the semantic component of weight in their semantic structures reveal the different degrees of intensity of the quality. Their meanings are very often evaluative too. The difference between the meanings of the adjectives with the semantic component of physical strength can be accounted for by different combinations of semantic components in their semantic structures.

အင်္ဂလိပ်စာ-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. *Е.М.Вольф*. Грамматика и семантика прилагательного. М., 1978.
2. *А.Н.Шрамм*. Очерки по семантике качественных прилагательных (на материале современного русского языка). Л., 1979.
3. Longman Dictionary of Contemporary English. Great Britain, 1980.
4. Cassel's Modern Guide to Synonyms and Related Words. London, 1971.
5. Webster's New Dictionary of Synonyms. Springfield, Massachusetts, USA, 1973.
6. A Random House Dictionary. New York, 1967.
7. Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English by A.S. Hornby, London, 1974.

၇၀ ၆၆/၁

INDEX 76181

